# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 მარტი, 2009 წელი.

№ 51 (6152)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ნაწილზე უფრო გასაიდუმლოებული?! 6

## ხუთი მილიონი იმას, ვინც დაკარგულ ხუთას მილიონს 9 აპრილამდე იპოვის! 6



„ჩოხისთვის" ქვეყანას ნუ გაიმეტებთ! 5

აქი „შუქურა" ვართო?!

ვის აძლევს ხელს ხალხის ნებით თამაში? 3

საშიში ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო მეთხუთმეტე ადგილზეა! 11



## არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ საკუთარი სკამის გადასარჩენად, კვლავ ომი წამოიწყოს 5

2 მართლაც წინასწარ განწირულია „კამიკაძე" ოპოზიცია?

## „ამერიკელი" ქართველები საქართველოს ვერ გამოადგებიან 3



ბორის ნემცოვი: **თუ კრიზისი წელიწადნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა, პუტინის რეჟიმი ვერ გაუძლებს** 8



## რა ბედი ელის „ნაბუკოს" პროექტს? 2

## ვინ რატომ და როგორ დაამსხვრია რუსთავში ილიას ბიუსტი?




ანუ აქა ამბავი ერთი მთვრალი კაცისა და წიგნებთან და ბიბლიოთეკებთან მეომარი ყოფილი მერის, აწ უკვე ოფისმოწყობილი პარლამენტარისა 4

ხელისუფლებამ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ხელი მთლიანად აიღო 7

იგეგმება პროვოკაციები და რეპრესიები! 12

**განსჯა**

# მართლაც წინასწარ განწირულია „კამიკაძე“ ოპოზიცია?

**9 აპრილს დაგეგმილი საპროტესტო აქციისთვის ოპოზიცია-ხელისუფლების მზადებასა და აქციის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**



**— ბატონო სოსო, ოპოზიციამ „თანხმობის დეკლარაციას“ ხელი კი მოაწერა, მაგრამ აშკარაა, რომ ყველა ოპოზიციური ჯგუფი ბრძოლის სხვადასხვა ტაქტიკას ირჩევს — „ალიანსი“ პლებისციტს ატარებს, რომლის შედეგები 31 მარტს გამოცხადდება, ეროვნული ფორუმი რეგიონებში კომიტეტებს ქმნის, სხვები საზოგადოებას აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოპოზიცია 9 აპრილს ერთიანი გეგმით არ ხვდება, თუ რა ხდება?**

— ეს სწორედ ის გზაა, რომელიც 9 აპრილს ერთი და იგივე ადგილას და დროს გადაიკვეთება. ჩემი აზრით, ოპოზიციის ბრძოლის ტაქტიკური ნაირსახეობა ერთი და იგივე სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სრულიად ბუნებრივი ქმედებაა, თუ ის არის კოორდინირებული და შეთანხმებული, თუ არ წარმოადგენს რაიმე ტიპის სიურპრიზს ოპოზიციური სპექტრის სხვა წევრებისთვის.

**— თქვენი აზრით, ოპოზიცია ერთიანი გეგმით, კოორდინირებულად მოქმედებს?**

— რამდენადაც ვიცი, ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფები სიურპრიზს არ უმზადებენ პარტნიორ ორგანიზაციებს. ჩემი აზრით, ამ პოზიციას ყველა ოპოზიციური ჯგუფი იზიარებს. ვერ ვიტყოდი, რომ ოპოზიცია შეთანხმებულად მოქმედებს, მაგრამ მათი მოქმედება ლეგალიზებულია მთელი ოპოზიციური სპექტრისთვის.

არავის არა აქვს საწინააღმდეგო, რომ ბრძოლის ტაქტიკური ნაირსახეობა იყოს ოპოზიციის ერთიან პოლიტიკურ მენიუში და მიწოდებული საზოგადოებისათვის, რომლის პოლიტიკური გემოვნება მრავალფეროვნია.

**— პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ოპოზიციის ერთ ნაწილს „კამიკაძე ოპოზიცია“ უწოდა, მაგრამ იმავდროულად ოპოზიციას ხელისუფლებასთან დიალოგისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზადაა. თქვენი შეფასებით, რამდენად შესაძლებელია ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის 9 აპრილამდე სერიოზული დიალოგის დაწყება და რაიმე ხელშესახები და კონკრეტული შედეგების მიღწევა?**

— ასეთი მზადყოფნა შეიძლება დარჩეს მხოლოდ მზადყოფნად, თუ არ იქნა გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები ნდობის ჯგუფის შესაქმნელად. ამ ჯგუფს უნდა ჰქონდეს საშუალება ორივე მხარესთან ურთიერთობისა და პოზიციათა წინასწარ ეტაპზე შეჯერების შესაძლებლობა, ვიდრე დაიწყება რაიმე ტიპის უთანხმოებანი პირდაპირი კონტაქტებისას.

ამისთანა სურვილი თუ არსებობს, ამგვარი კონსულტაციების ორგანიზების ტექნიკა ცნობილია და ეს არ გახლავთ ქართული ნოუ-ჰაუ. ამდენად, თუ გული გულობს, როგორც იტყვიან, ქადა ორი ხელით იჭმევა.

**— ხელისუფლებამ ოპოზიციას დიალოგი კი შესთავაზა, მაგრამ, პარალელურად, საარჩევნო კოდექსზე მუშაობის პროცესში ოპოზიციის ის ნაწილი მონაწილეობს, რომელმაც ხელი მოაწერა ეთიკის კოდექსს. რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს NDI-ის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება, თუ მის შედეგებს პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია არ გაიზიარებს?**

— არსებული შემადგენლობით საარჩევნო კოდექსის წერა, არა მგონია რაიმე სერიოზული შედეგის მომტანი იყოს, რადგან იგი ნებისმიერ შემთხვევაში სახელისუფლებო კოდექსი იქნება. ჩვენ გვახსოვს, რომ შარშან იმავე პოლიტიკური სიტუაციის ვითარებაში, პარლამენტის ხელმძღვანელობასა და ოპოზიციას შორის ვერ მოხერხდა რაიმე ტიპის კონსენსუსის მიღწევა. წელსაც, კომპრომისი შეიძლება მიღწეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება დათმობა ოპოზიციის მხრიდან. არანაირი მესიჯი ხელისუფლების მხრიდან, რომ იგი რაიმე ტიპის კონსენსუსზეა წამსვლელი, არ ჩანს.

როდესაც ხელისუფლება ოპოზიციას საჯაროდ „კამიკაძეს“ უწოდებს, იგი მას არცთუ უსაფრთხო გზაზე აგზავნის და, რეალურად, წინასწარ განწირულებად წარმოაჩენს. იმედი მაქვს, რომ ბაქრაძე პოლიტიკურ „კამიკაძეობაზე“ საუბრობდა და არ გულისხმობდა ამ მცნების იაპონურ გაგებას.

**— აქციისათვის ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ემზადება. რას შეიძლება ველოდოთ 9 აპრილს დადეგმილი დაანონსებული აქციისაგან?**

— ჩემი აზრით, 9 აპრილს ჩვენ ვიქნებით მოწმე გარკვეული განაცხადისა როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების მხრიდან. ჩვენ მოვისმენთ ორივე მხარის პრეტენზიებსა და არგუმენტებს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ვნახოთ, რამდენად დემოკრატიულია ხელისუფლება, ვნახოთ, რამდენად აგრესიულია ოპოზიცია. მოვლენათა შემდგომი განვითარება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვისი არგუმენტია უფრო სარწმუნო და მისაღები მთლიანად ქვეყნისათვის.

**კობა ბენდელიანი**

**გაზსადენი**

# რა ბედი ელის „ნაბუკოს“ პროექტს?

**ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ „ნაბუკოს“ გაზსადენი, რომელშიც 15 ქვეყანა მონაწილეობს და რომლითაც ნავარაუდევია შუააზიური და კასპიური ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირება აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ავსტრიის გავლით, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ ევროპამ თავი დააღწიოს რუსეთის მიერ საწვავით შანტაჟს.**

ცხადია, თავის მხრივ, არც რუსეთია გულხელდაკრეფილი, აშკარად თითქოს არ ეწინააღმდეგება ამ პროექტის ხორცშესხმას (ანკი რა უფლება აქვს!), მაგრამ ფარულად რომ მოქმედებს, ფაქტია.

და უთუოდ სწორედ ამის შედეგიც არის ის, რომ 16 მარტს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე „ნაბუკოს“ გაზსადენი ამოიღეს იმ პროექტების სიიდან, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში 5 მილიარდი ევროთი უნდა დაფინანსებულიყო. ეს გერმანიის კანცლერის **ანგელა მერკელის** მოთხოვნით გაკეთდა. მერკელის მტკიცებით, არანაირი საზოგადოებრივი ფული არ უნდა დაიხარჯოს პროექტზე, რომლის მიმართაც ბერლინს განსაკუთრებული ინტერესი არა აქვს.



ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ალექსანდრ ვონდრას განცხადებით, მინისტრებმა მხარდაჭერის გეგმაზე შეთანხმება ვერ შესძლეს, თუმცა, მან დასძინა რომ „ქვეყნების საკმაოდ ძლიერ ჯგუფს სურს „ნაბუკო“ მთელ რიგ პროექტებში დარჩეს.“

ამ საკითხს სულ სხვანაირად აფასებენ ქართველი ექსპერტები და სპეციალისტები. მაგალითად, ექსპერტი **მამუკა არეშიძე** „ნაბუკოს“ პროექტის ჩაშლას გამორიცხავს. მისი განმარტებით, გერმანიის მხრიდან პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან ნათელი იყო, რომ გერმანიისათვის „ნაბუკოზე“ მნიშვნელოვანი „ჩრდილოეთის ნაკადია“.

„ნაბუკო“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილისათვის. ვფიქრობ, ნაბუკოს ბუდაპეშტის სამიტზე ლობისტები ეყოლება და პროექტის ყველაზე დიდი ლობისტი სწორედ ამერიკა იქნება. ეს რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხს. პოლიტიკური კუთხით კი გამოვრიცხავ, რომ ნაბუკოს პროექტი ჩაიშალოს, თუმცა შესაძლოა მისი კორექტირება და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა მოხდეს“, — აღნიშნავს არეშიძე.

ექსპერტ **გოგი ხუციშვილის** შეფასებითაც, გერმანიის მოთხოვნით ევროკავშირის მიერ „ნაბუკოს“ დაფინასებაზე უარის თქმა ამ პროექტის დასამარებას არ უნდა ნიშნავდეს.

„ნაბუკოს პროექტის თაობაზე ძალიან დიდი ბრძოლა მიმდინარეობს. რუსეთი პროექტის ჩაშლას ყველანაირად ცდილობს, თუმცა მაინც არ მგონია, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება „ნაბუკოს“ იმ პროექტების სიიდან ამოღების შესახებ, რომელიც მას უნდა დაეფინანსებინა, საბოლოო იყოს. მე სამი დღის განმავლობაში ბრიუსელში ვიყავი, მქონდა უამრავი შეხვედრა, თუმცა ის, რომ ნაბუკო უპერსპექტივო პროექტია არავისგან მომისმენია“, — აცხადებს გოგი ხუციშვილი.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **ალექსანდრე ხეთაგური** კი „ნაბუკოს“ პროექტის არამც თუ ჩაშლას, უახლოეს თვეებში მის საბოლოო გადაწყვეტასაც პროგნოზირებს.

ევროპისთვის „ნაბუკოს“ პროექტი, განსაკუთრებით იანვრის მოვლენების შემდეგ, ძალიან პრიორიტეტულია. ეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას, ენერგორესურსების ალტერნატიული წყარო ჰქონდეთ, — განაცხადა ხეთაგურმა.

მისივე განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით უახლოეს თვეებში სპეციალური კონფერენცია გაიმართება, რომელზეც პროექტის დაფინანსებასა და სხვა დეტალებს განიხილავენ.

**ოთარ აფხაზავა**

**ვითარება**

# ირაკლი ოქრუაშვილი მალე ჩამოვა



**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერს ირაკლი ოქრუაშვილს, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს, აპრილისთვის დაგეგმილ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. იგი მალე საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში ის ძებნილად არის გამოცხადებული.**

**ოქრუაშვილის ჩამოსვლისა და მის უსაფრთხოების საკითხებზე „მედიანიუსი“ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურ მდივანს ეკა ბესელიას ესაუბრა.**

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ირაკლი ოქრუაშვილს დაგეგმილი აქვს საქართველოში „საკუთარი გზებით“ ჩამოსვლა...**

— გავრცელებულ ათასგვარ ჭორზე კომენტარებს არ გავაკეთებ. ოფიციალურ ინფორმაციას მხოლოდ ოქრუაშვილის პოლიტიკური პარტია ავრცელებს. ამის უფლებამოსილება მაქვს მე. ვინ რას წერს და ვინ რას ავრცელებს, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ვერც იმაზე მეტს ვიტყვი, რომ ის ჩამოვა საქართველოში და თანაც მალე. კონკრეტულად როდის ჩამოვა და რომელ დღეს, ამაზე საუბარი, მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, არ შეგვიძლია.

**— ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლა აქციების მიმდინარეობისას საზოგადოებაზე პოლიტიკური ეფექტის მოხდენაზეა გათვლილი?**

—პოლიტიკოსის ესოდენ გაბედული და სარისკო ნაბიჯი, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური პროცესებისთვის, რომლებიც დღეს გადამწყვეტია ჩვენი ქვეყნისთვის. ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ყველა ძალის მობილიზებას. ამ პროცესში ირაკლი ოქრუაშვილს ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია და, ვფიქრობ, რომ ის ამას შეძლებს.

**-უსაფრთხოება რამდენად იქნება დაცული?**

—მისი უსაფრთხოება არ არის დაცული და ამაზე ჩვენ, ბუნებრივია, ვფიქრობთ, მაგრამ პოლიტიკოსის ნაბიჯი მით უფრო ღირებულია, რაც უფრო მეტად არის იგი საკუთარი თავისთვის სარისკო.

**— ჩამოსვლის შემთხვევაში რომ დააკავონ?**

— რა იქნება და როგორ იქნება, ვნახავთ!

**პარტიებსა და მოძრაობებში**

# „ალიანსი საქართველოსთვის“ საქართველოზე ზრუნავს

**„ახალი მემარჯვენეების“ ცენტრალურ ოფისში „ალიანსი საქართველოსთვის“ თბილისისა და რაიონული შტაბების შეკრება გაიმართა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა გახსნა. „ალიანსის შექმნიდან ერთი თვის თავზე ეს პირველი შეკრებაა ამ ფორმატით, — თქვა მან, — დღეს აქ ვართ იმისთვის, რომ უფრო კონკრეტულად ჩამოვყალიბდეთ ჩვენი საქმიანობის ფორმაზე, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ავტორიტარული რეჟიმი საქართველოში.**

შეკრებაში მონაწილეობდა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე, რომელმაც საქართველოს თითოეული რეგიონის შტაბის ხელმძღვანელი დაასახელა. როგორც ცნობილი გახდა, შტაბები ადგილზე გაუწევენ ხელმძღვანელობას საპროტესტო აქციებს და მშვიდობიან მანიფესტაციებს, საზოგადოებას გააცნობენ ალიანსის სამოქმედო გეგმებს, უზრუნველყოფენ მოსახლეობის კავშირს ალიანსის ლიდერებთან და ყოველდღიურად გააკონტროლებენ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას. „ჩვენ ვართ და ვიქნებით ყველაზე ძლიერი ალტერნატივა სააკაშვილისა, ჩვენ უზრუნველვყოფთ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის განადგურებას“, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

ალიანსის ლიდერებმა სხვა ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს. შეკრება „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ დაასრულა: ჩვენი საქმე მაშინ იქნება გაკეთებული, როცა სააკაშვილის რეჟიმს ბოლოს მოვუღებთ და ჩვენთან ერთად აფხაზი და ოსი ძმები იქნებიან. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმ ძალებთან, ვინც მომხრეა ამ ხელისუფლების განადგურებისა, ჩვენი ალიანსი ღიაა. სააკაშვილმა თაობებს შორის ნაპრალი გააჩინა, ეს კი უდიდესი შეცდომაა, — თქვა მან.



ირაკლი ალასანიამ ასევე ისაუბრა უსაფრთხოების ახალ სისტემაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ პრობლემებზე და სამხედრო კრიზისის მოგვარებაზეც და დახმარება აღუთქვა საზოგადოებას. უსაფრთხოების სისტემას კი ისევ დასავლელი პარტნიორების დახმარებით შექმნიან, რათა რუსეთისგან თავი დაიცვან. ყველაზე მთავარი კი, რაც მან ახსენა — აგვისტოს მოვლენების შესაძლო განმეორებაა: „თუ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი არ განადგურდება, შესაძლოა, აგვისტოს მოვლენები ისევ განმეორდეს“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

**ანა კვარაცხელია**

## აქტუალური ინტერვიუ

***აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, კონგრესისა და აკადემიური კვლევითი ინსტიტუტების, მათ შორის ვაშინგტონში მოქმედი „ნიქსონის ცენტრის“ მოწვევით საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. უფრო ადრე იგი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ-სტუდენტებსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ცნობილ ალმამატერში გამოსვლა დროებით გადაიდო.***

***ბატონ შალვას, რომელიც გუშინწინ ღამით დაბრუნდა სამშობლოში, ამერიკაში ესაუბრა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი.***

# „ამერიკელი“ ქართველები საქართველოს ვერ გამოადგებიან

## გვესაუბრება ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი

— საინტერესო შეხვედრები მქონდა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციაში. — მითხრა შალვა ნათელაშვილმა. — მათ სააკაშვილის მიერ გაუქმებული 15 ქართული გაზეთის უკანასკნელი ეგზემპლარი გადავეცი. მათ შორის „ალიონი“, „არგუმენტი“, „ახალი ეპოქა“.

**— ჟურნალისტთა სახლიდან გამოგდებული „ახალი 7 დღე“?**

— დამავიწყდა. ეს გაზეთებიც თავად ჟურნალისტებმა გადმომცეს. ამერიკულ რედაქციაში გაუკვირდათ, რომ XXI საუკუნეში ასეთი რამ შესაძლებელია. ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ სააკაშვილი ქართულ პრესას არ კითხულობს.

ამერიკულ პრესასაც შეეხო რეცესია და „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქტორმაც დიდი გულისტკივილით განაცხადა, რომ იძულებული გახდა, თანამშრომელთა ნაწილი დაეთხოვა. რასაკვირველია, არა პოლიტიკური საბაბით. პრესაში არსებული მდგომარეობის გამო კი სააკაშვილის გულისტკივილი ჯერ არსად მინახავს და არ მომისმენია.

აქამდე სააკაშვილისა და სააკაშვილის ვაშინგტონელი მფარველების კრიტიკა ანტიამერიკანიზმთან იყო გაიგივებული. სხვათა შორის ვაშინგტონელმა მაღალჩინოსანმა, რომელსაც არ დავასახელებ, თავად მითხრა: „სააკაშვილი ბუშის პუდელი არისო“.

**— ახლა ოპოზიციაც ამერიკისააო...**

— როგორც ვხედავ, ჩვენი უცხოელი მეგობრები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ ჩვენი ხელისუფლების არჩევის უნარი არა გვაქვს. ამერიკამ თავის დროზე სააკაშვილი გადმოგვილოცა და ახლა იგივე მმართველები მიდიან. ქართველები კი მხოლოდ დადგმულ სპექტაკლებს ვაფორმებთ. ხოლო ეს ამერიკის კი არა, იმის ბრალია, რომ საკუთარი ღირსება უარვყავით. ახლა ჩვენი დამოუკიდებლობა და პოლიტიკური სუვერენიტეტი უნდა დავიბრუნოთ. ამერიკასა და დანარჩენი სამყაროსთვის სერიოზული პარტნიორი უნდა გავხდეთ, ამას კი წარსული შეცდომების ანალიზი სჭირდება. ვნახოთ, ჩვენი ხალხი რას მოიგებს და რას შეცვლის.

**— ფიქრობთ, რომ დასავლეთის სათანადო მხარდაჭერის გარეშე საქართველო ძლიერ წნეხს გაუძლებს?**

— დასავლეთის მხარდაჭერა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ დასავლეთიდან დასავლური მთავრობები უნდა მოვიდეს. სააკაშვილისნაირმა დასავლეთიდან წამოსულმა პოლიტტექნოლოგებმა, სოციალური კვლევების სპეციალისტებმა გააფუჭეს საქმე. ეს მხარდაჭერა კი არა, დათვური სამსახურია. იგი ღუპავს საქართველოს და რუსეთთან კონფრონტაციისკენ უბიძგებს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ ამერიკას უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებთ, ვიდრე ეს რეალობას შეესაბამება — უფრო მეტს, ვიდრე ქართულ საზოგადოებას, ქართველებს? სააკაშვილი კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და თუ იქ ლექციით გამოხვალთ, არაა გამორიცხული, რომ სააკაშვილის ყოფილმა პროფესორებმა მოგისმინონ. რას ეტყვით მათ, რას ჰკითხავთ?...**

— თქვენ ჟურნალისტურ კითხვას მისვამთ, თუ ჩემთან პოლიტიკურ დებატებში ერთვებით? გეუბნებით, სააკაშვილი არის ბუშის ნაბიჭვარი! სააკაშვილი ბუშისა და ჩეინის ბანდამ დანიშნა! მე ვუთხარი ამერიკელებს: როგორაც დასვით თქვენი მიშა, ისე მიეცით მას პოლიტიკური რჩევა, რომ ისევ უკან წავიდეს. საერთოდ, ამერიკაში მაცხოვრებელი არც ერთი ქართველი არაა საქართველოში შემოსაშვები, 90 პროცენტი „სააკოვისტები“ არიან. იმიტომ, რომ აქ რალაცეებს მაიმუნობენ. უნდათ, რომ ამერიკიდან სააკაშვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ.

**— ბატონო შალვა, კითხვა დაგისვით ჟურნალისტური. ქართველები კი აქედან ოჯახებსა და საქართველოს არჩენენ. ეს მაიმუნობაა? რას მაიმუნობენ, ხომ ვერ მეტყვით?**

— ჩემზე კარგად იცით, რასაც მაიმუნობენ! სააკოვისტობენ. ამით ისინი სამშობლოს ჰყიდიან. ასევე დაწერეთ.

**— დავწერ. მაშინ სხვა რამეს გკითხავთ: რით განსხვავდება ჰილარი კლინტონი კონდოლიზა რაისისაგან?**

— ობამა და სხვები სააკაშვილის მოყვანასთან კავშირში არ არიან. მათ უფლება აქვთ, რომ ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დაიწყონ.

**— რას გულისხმობს ეს ფურცელი?**

— ჩემთვის ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა კრიტერიუმებით მოქმედებენ ამერიკელები. ისინი ჩემგან რეკომენდაციებს ილებდნენ. რას გაიგებენ და რას — არა, არ ვიცი. ყურადღებით კი მისმენდნენ. ისე, სააკაშვილის მომხრეები რესპუბლიკელებშიც არიან და დემოკრატებშიც.

**— საქართველოში თქვენს რეკომენდაციებს ოპოზიციონერები თუ ითვალისწინებენ?**

— ოპოზიცია უნდა გავერთიანდეთ და ვითანამშრომლოთ. თუმცა გააჩნია, ვინ რას გულისხმობს გაერთიანებაში. თუ გაერთიანებაში იგულისხმება ახალი მიშას მოყვანა, ღირს კი გაერთიანება? სააკაშვილი უნდა წავიდეს და თავისუფალი არჩევნები დაინიშნოს, გარედან კანდიდატები არ უნდა მოგვახვიონ თავს. ალასანიასაც აქვს უფლება მიტინგზე გამოსვლის, ბურჯანაძესაც, მაგრამ მათ იმის მორალური უფლება არა აქვთ, რომ პირველობა და ლიდერობა მოინდომონ. იმიტომ, რომ ისინი ამ დანაშაულებრივ რეჟიმსა და სისტემას თავად ქმნიდნენ. სწორედ ამ ოპოზიციამ შექმნა სააკაშვილი; იგი ამ ოპოზიციის პროდუქტია, რომლის ნაწილიც წინა მთავრობაშიც იყო... ლეიბორისტული პარტიის გარდა! სანამ ქართველი ხალხი ვერ დაინახავს და ვერ გაარჩევს თეთრსა და შავს, ჩვენს ხალხს არაფერი ეშველება. არანაირი მიტინგი არ უშველის.

**— რა ბედი ეწია 2007-ში ევროსასამართლოში თქვენს მიერ შეტანილ სარჩელს?**

— 2008 წლის 8 ივლისს სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა და ლეიბორისტულმა პარტიამ გაიმარჯვა. სამართალწარმოებაში ეს პირველი შემთხვევაა. მაგრამ რახან სააკაშვილმა ცხინვალში ომი დაიწყო, ეს მოვლენაც გადაიფარა. სააკაშვილს ჯარიმაც კი გადაახდევინეს (ადვოკატების ხარჯები 12 000 ევროძ და ჩვენ მსხვერპლადაც გვაღიარეს. მედიას ამის გაშუქება არ მოუნდომებია, რადგანაც იგი თავისუფალი არაა. ეს ხელისუფლება არალეგიტიმური რომ იყო, ამაზე მარტო ჩვენ კი არა, ევროსასამართლომაც ისაუბრა. ჩემი სურვილია, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად წავიდეს. იქნებ მას ამერიკელმა მეგობრებმა, ახალმა ადმინიტრაციამაც ურჩიოს, რომ წავიდეს. და თუ ეს არ მოხდა, მაშინ იგი დაემხობა. უფრო ცუდად დაემხობა, ვიდრე შევარდნაძე, რადგანაც შევარდნაძეს პირადი მტრები არ ჰყავდა, სააკაშვილს კი ბევრი პირადი მტერი ჰყავს. ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ასე წასულიყოს მისი საქმე. მე არ ვარ მისი პირადი მტერი, ღმერთმა დამიფაროს. მისი და მისთანანის სულების გადასარჩენადაც კი ვლოცულობ...

**— შარშან ზაფხულის ბოლო თვეს გაჩაღებული ომიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ ამჟერად უკვე გაზაფხულზე რუსეთის ახალ შემოტევას გვიწინასწარმეტყველებენ... 18 წლის წინათაც საქართველოში ასევე დაამხეს ხელისუფლება და მასთან ერთად ქვეყანაც. ახლაც ამდაგვარ დამხობაზეა საუბარი?**

— რუსეთის მოსალოდნელ აგრესიაზე სააკაშვილის პროპაგანდა საუბრობს, იმისთვის, რომ როგორმე მიტინგები ჩაახშოს, სხვა საფიქრალზე გადაიტანოს ყურადღება. რუსეთმა უკვე გააკეთა, რაც უნდოდა. ტერიტორიები წაგვართვა, დე იურე აღიარა, დაიწყო სამხედრო ბაზების მშენებლობა. მეტი მას არც არაფერი სჭირდებოდა, იმიტომ, რომ, როცა ოკუპანტი დედაქალაქს იპყრობს, იგი პასუხისმგებელი ხდება მთელს სახელმწიფოზე. ისინი თბილისში არ შემოვიდნენ, იმიტომ, რომ მათი მიზანი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება იყო. პაველ ფელგენგაუერი სააკაშვილის დაფინანსებულია. იგი მისგან ყოველთვიურად ფულს იღებს. სააკაშვილს ასეთები ამერიკაშიც ჰყავს. სააკაშვილმაც და ფელგენგაუერმა იცოდნენ, თუ რა მოხდებოდა აგვისტოში საქართველოში. ანდრეი ილარიონოვიც სააკაშვილის კუდია. პუტინის მრჩეველი რომ იყო, მაშინ რატომ არ ამოიღო ხმა რუსული პასპორტების დარიგების თაობაზე? ახლა პუტინმა გამოაბუნძულა და ამიტომაც დაუპირისპირდა მას. ყველაფრის მიუხედავად, ვთვლი, რომ რუსეთთან კავშირის აღდგენა აუცილებელია.



შალვა ნათელაშვილი „ნიქსონის ცენტრში“ გამოსვლისას

**— ვის უნდა ელაპარაკოთ კრემლში? მათ უმეტეს, თუ კრემლის გარეთ ვინცაა, ისინიც, როგორც თქვენ ბრძანებთ, „სააკოვები“ არიან?**

— რუსეთთან დალაპარაკება აუცილებელია. რასაკვირველია, რუსეთი თავის ინტერესებს არ დათმობს, ამიტომ მასთან საუბარი ძალიან რთული იქნება. ეს პრობლემა ერთ ან ორ წელიწადში არ გადაწყდება.

იხ. 4 გვ.

## 9 აპრილის წინ

# ვის აძლევს ხელს ხალხის ნებით თამაში?

**სააკაშვილი უკვე წავიდა, უკვე დამთავრდა! — ამბობენ ლეიბორისტები. იმ ავადმოსაგონარ 7 ნოემბერსაც ამას ღაღადებდა ოპოზიცია — მიშა დამთავრდაო... არადა, ყველა კარგად ხედავს, არავინ არსად არ წასულა და არც დამთავრებულა... ვგონებ, არც არსად აპირებენ წასვლას, ოპოზიციისთვის ნანატრ ახალ რეალობაში ხელისუფლება ძველ სავარძლებს ისევ მყარად ინარჩუნებს და ხალხზე მზრუნველის მანტია მოურგია.**

თუ აპრილის აქციებში, ხალხი იქნება მთავარი მოქმედი პირი, მაშინ შედეგს მივაღწევთო, — იქადნება ოპოზიცია, თუმცა, ვერ ხვდება, რომ ჯერჯერობით თავად პოლიტიკური პარტიების ლიდერები არიან მთავარი გმირები, და არა ხალხი, რომლითაც ხშირად მანიპულირებს ოპოზიციაც და ხელისუფლებაც. ხალხს კი ვგონებ, არც არაფერს ეკითხებიან, ისიც საეჭვოა, თუ იციან, რით ცხოვრობს ან რა აწუხებს ხალხს? ან რას ფიქრობს იგი საპროტესტო აქციებზე. ვიცით, მიშა ვინც არის, მაგრამ ქუჩაში რატომ უნდა გამოვიდეთ, იმისთვის რომ ბურჯანაძეს, ნოღაიდელსა და ალასანიას სავარძლები დავუბრუნოთო? — ასე მსჯელობს მოსახლეობის ერთი ნაწილი. მათ კარგად უწყიან, სააკაშვილის ხელისუფლების ავკარგი, მაგრამ ოპოზიციაშიც ვერ ხედავენ მოუსყიდველ, სუფთა და პრინციპულ ძალას.

„ჩვენ დავინახეთ, რომ 300 ათასი კაცი გამოვიდა ქუჩაში 7 ნოემბრის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ ერი გამოვიდა სააკაშვილის წინააღმდეგ. მაგრამ ისიც დავინახეთ, რომ ოპოზიციაც მოსყიდული იყო, რაც გინდათ, ის უწოდეთ — სულელი, მოტყუებული. ფაქტია, რომ ოპოზიციამ ვერ უწინამძღვრა ხალხს და პირიქით — გააბითურა და დაშალა მრავალათასიანი მსვლელობა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი ან მოსყიდულია, ან ბრიყვი. საერთო ჯამში მივიღეთ ის, რომ გვყავს სააკაშვილი. ახლაც მეორდება მოვლენები და ვშიშობ, კვლავ არ მივიღოთ მსგავსი საშინელება ან უფრო უარესი, — გვითხრა ერეკლე მეორის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ.

საზოგადოების ერთი ნაწილი ამართლებს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერს ლევან გაჩეჩილაძეს, ვინც მაშინ გონივრულად მოიქცა და ხალხი სისხლისღვრას გადაარჩინა, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან უკვე ამ ნაბიჯს აღარ იწონებენ, და ასე სვამენ კითხვას: არ სჯობდა, მაშინ დაღვრილიყო სისხლი, იპოდრომიდან ხალხი კანცელარიისკენ დაძრულიყო და ხელისუფლებაში ნორმალური ადამიანები მოსულიყვნენ, რათა შემდეგ უამრავი ადამიანის სისხლი აღარ დაღვრილიყო შიდა ქართლში, კოდორში, აღარ დაგვეკარგა ტერიტორიებიო?

განსჯა იოლია, ადამიანების ბედით თამაშის უფლება კი არავის აქვს, თუნდაც ერთი კაცის სისხლი იგულისხმებოდეს. აგვისტოს ომის თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, ოპოზიციას პარლამენტში შესვლაზე უარი რომ არ განეცხადებინა და თავისი პროტესტით ხელისუფლებაზე ზეგავლენა მოეხდინა. ამ აზრს ახლა ექსპერტები ახმოვანებენ. პარლამენტში არშესული ოპოზიცია კი ისევ ქუჩის აქციებით იმუქრება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით აპირებს ხელისუფლებისადმი პროტესტის გამოხატვას. თუკი ხალხის ნება იქნება, სააკაშვილი გვერდს ვერ აუვლის და გადადგებაო, — თავს იმშვიდებს ოპოზიცია...

ისევ ხალხის სახელით კეთდება განცხადებები, ოღონდ ამას ჭრელი და ცალ-ცალკე მდგომი ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, ანუ ყველა თავისთვის მოუწოდებს ხალხს გვერდით დადგომასა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დარაზმვას. იმას კი აღარ ითვალისწინებენ, რომ საპროტესტო აქციებში ხალხს აუცილებლად სჭირდება ლიდერი, ვისაც ენდობა და ვის პრინციპულობასა და მოუსყიდველობაში ეჭვი არ შეეპარება. სამწუხაროდ, ერთი გამოკვეთილი ლიდერი ოპოზიციას არა ჰყავს, ამიტომაც საეჭვოა გაფიცვებმა თუ აქციებმა მასშტაბურობა შეიძინოს და სასურველი შედეგით დასრულდეს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ◉ აქტუალური ინტერვიუ

# „ამერიკელი" ქართველები საქართველოს ვერ გამოადგებიან

(მესამე გვერდიდან)

პრობლემა მრავალი ათეული წლის განმავლობაში იარსებებს. იგი 2-3 თაობაზეც შეიძლება გაიწელოს. რუსეთს აქვს თავისი მუდმივი სტრატეგიული ინტერესები. ამიტომ ჩვენ სერიოზული პოლიტიკური ბრძოლებისთვის უნდა მოვემზადოთ. ხომ ხედავთ ომიდან არაფერი გამოვიდა. მოხდა კატასტროფა – გორის ოკუპაცია. მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა რომ გაგვეგრძელებინა, დღეს ახალგორიც და კოდორიც ჩვენი იქნებოდა. ჩვენთვის, პატარა ქვეყნისთვის, ასე სჯობს. ჩინეთი მილიარდნახევრიანი, ატომური სახელმწიფოა და აგერ 70 წელია ტიბეტი ვერ დაუბრუნებია, არადა იგი იურიდიულად კვლავ მისი საკუთრებაა. პოლიტიკური ბრძოლის, კამათის გაგრძელება აუცილებელია, მაგრამ არა – გინების. მეორე მსოფლიო ომი ისე დამთავრდა, რომ სტალინსა და ჰიტლერს ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ.

**– და ამან ვინმეს სიცოცხლე გადაარჩინა?**

– აგვისტოს ომის დროს 4000 ქართველი დაიღუპა. ქართველებმა საომარი ადგილებიდან მკვდრები არ წამოასვენეს მანამ, სანამ რუსული სანიტარიული ასეული არ შემოვიდა და გვამები არ დაწვა, რადგან ზაფხულის სიცხე იდგა...

**– ბატონო შალვა, შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ იმასთან, ვისაც საუბრის დროს ჯიბეში შენთვის ჩასარტყმელი დანა არ უდევს. თუ ეს დანა უკვე გამიზნულია და უკვე იცის, სად გაგიყაროს – ან გულში, ან ზურგში – პოლიტიკური დიალოგის შანსი უკიდურესად მიზერული არაა?..**

– მაშინ ვაგინოთ რუსეთი, დავიწყოთ სამხედრო მოქმედებები და რუსი, რასაკვირველია, ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრება. გვაქვს ორი გზა: კონფრონტაციის გზა ან პოლიტიკური მოლაპარაკება. რუსეთს უნდა მივცეთ პოლიტიკური გარანტიები, ნატოზე უარი უნდა ვთქვათ, რათა საქართველოში ნატოს სახით რუსეთის საწინააღმდეგო პლაცდარმი არ შეიქმნას, უნდა დავიწყოთ დამოუკიდებელი პოლიტიკა და მხოლოდ ამ შემთხვევაში დათანხმდება რუსეთი, რომ ჩვენი ტერიტორიები ნაწილ-ნაწილ დაგვიბრუნოს. სხვა შემთხვევაში ისინი საბოლოოდ დაკარგულია და მათ იგივე ბედი ეწევათ, რაც საინგილოსა და ტაო-კლარჯეთს. მერე ახალგაზრდა თაობას უნდა ავუხსნათ, რომ ოდესღაც ეს მიწა ჩვენი იყო. მოსკოვში, დეპუტატებთან საუბარია საჭირო; იმათთან, ვინც გადაწყვეტილებას იღებს; ვინც ანტიქართულ ლოზუნგებს გაჰყვირის. რუსებმა ჩეჩნეთს ტანკებით გადაუარეს, მაგრამ ამისთვის ამერიკას რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ჯარი არ შეუყვანია.

**– ტანკები ნატოს არც საქართველოში შემოუყვანია. საქართველო, როგორც საერთაშორისო სუბიექტი, და ჩეჩნეთი ერთ სიბრტყეზე არ ძევს, ფორმალურად მაინც, და ეს განსხვავება პრინციპულია.**

– რუსეთს მაინც უნდა ვესაუბროთ. ურთიერთობის ფორმაა შესაცვლელი. მე რუსეთს რეალისტურად ვუყურებ. დიდი სახელმწიფოებს დიდი საკვები სჭირდებათ, სხვა შემთხვევაში ისინი არსებობას შეწყვეტენ. რუსეთს დიდი რესურსები და დიდი ენერგოშემცველები სჭირდება და თუ დაკმაყოფილდა, იგი შესაბამის სამხედრო პოლიტიკურ კურსს გაატარებს. რუსეთს სჭირდება თავის ტერიტორიაზე ენერგორესურსების გატარება და ცუდად ხდება, როცა ეს რესურსები სხვის ტერიტორიაზე გადის. მით უმეტეს, თუ ეს მილები ნატოს წევრ ქვეყნებზე გაივლის. რუსეთს დიდი ხანია იმპერიული ამბიციები აწუხებს და რაღა მაინც და მაინც ჩვენ უნდა გავხდეთ მისი მსხვერპლი? სააკაშვილმა საქართველო რუსეთს პირდაპირ ხახაში ჩაუდო. ბოლოს და ბოლოს აფხაზეთში აგარაკების მიცემას დავთანხმდებოდი....

ქვეყნის ხელმძღვანელის მოვალეობაა, რომ ხალხს საფრთხეები აარიდოს და სამაგიეროდ თავისი თავი შეუშვიროს. დემეტრე თავდადებულმა ხომ იცოდა, რომ თავს მოაჭრიდნენ და მაინც წავიდა მტერთან. ცხინვალში ეს ამბები რომ დაიწყო, სააკაშვილი მოსკოვში უნდა ჩაფრენილიყო, სასტუმროში გაჩერებულიყო და რუსებისთვის ეთქვა: თქვენი ვარო! ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა! ამის მაგივრად კი მან რუსებს დასცხო. რუსის ჯარი დაგვბომბავდა, აბა, რას იზამდა? მე რომ ვყოფილიყავი სააკაშვილის ადგილას, მოსკოვში ჩავიდოდი და დავუჩოქებდი, ოღონდაც ომი თავიდან ამეცილებინა. ჩეკისტებიც ხომ ადამიანები არიან. ქვეყნებს ხან ჩეკისტები მართავენ, ხანაც სამხედროები, ხან დემოკრატები. ყველას უნდა დაელაპარაკო. ეს სამყარო ჩვენი გემოვნებით არაა მოწყობილი. ძალიან ბევრის მიღწევაა შესაძლებელი რიტორიკით. ლანძღვა არ შეიძლება. ეს ოპოზიციამ შეიძლება ლანძღოს და იყოს კრიტიკული, რაც თავისთავად სიკეთის მომტანია, მაგრამ როცა ამას ხელისუფალი და, მით უმეტეს, პრეზიდენტი აკეთებს, ეს დაუშვებელია.

მე ამერიკის მხარდაჭერას არ გამოვრიცხავ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ურჩევს საქართველოს, რომ იგი ნატოში არ შევიდეს.

**– რუსეთთან უკვე ვიყავით ორი ასეული წელი....დღეს როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგია?**

– ამერიკა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად დარჩება; მან გაჭირვების დროს დიდი თანადგომა გაგვიწია, თუნდაც იგივე ხორბლით. სამხრეთ კორეა ნატოს წევრი არაა, მაგრამ იგი ამერიკის სტრატეგიული პარტნიორია, ისევე როგორც ახალი ზელანდია, ავსტრალია, ისრაელი, სინგაპური. ნატო ამერიკასთან მოკავშირეობის კრიტერიუმის დასადგენად არაა საჭირო. ეს იდიოტური მიდგომაა. ნატოს თემა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს შემოაგდეს, მერე კი იგი ჟვანია-სააკაშვილმა აიტაცა. ახლა კი რუსეთს ნატოს გამო ჯავახეთი, აჭარა და ბორჩალო წავართმევინოთ? ჩემი ინფორმაციით ბორჩალოს რაღაცას უპირებენ...

**– ახლა ეკონომიკურ პრობლემებზე გადავიდეთ. ლეიბორისტულ პარტიას ეკონომიკის გაჯანსაღების რა გეგმა აქვს?**

– მიცვალებულს, როგორც წესი, გრიპი არ ხვდება. საქართველო ბიზნესისა და ეკონომიკის კუთხით ნამდვილი მიცვალებულია და ამიტომაც მასზე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ნაკლები გავლენა აქვს. სამაგიეროდ, ეს გავლენა განვითარებულ ქვეყნებში იგრძნობა. ჩვენ ხომ მინიმუმ 20 წელი კრიზისში ვართ, ამიტომ ახალი არაფერი იქნება. საქართველოში სამშენებლო ბიზნესი ჩავარდა, საბანკო კრედიტების პრობლემა მწვავედ დგას.

**– ეს ცნობილია. მკვდრის გამოცოცხლებას როგორ აპირებთ?**

– ამისთვის სააკაშვილის გაშვებაა საჭირო, და ეკონომიკაც ავტომატურად გამოცოცხლდება. საგადასახადო ტარიფების დაბლა დაწევაა აუცილებელი, რათა ხალხმა ამოისუნთქოს.

ესაუბრა

**ია მერკვილაძე,**

**„სრ" საკ. კორ. აშშ-ში**

**ნიუ-იორკი-ვაშინგტონი.**

## ◉ ხელმძღვანელიც არის და ხელმძღვანელიც

# 1. ვინ რატომ და როგორ დაამსხვრია რუსთავში ილიას ბიუსტი?

### ანუ აქა ამბავი ერთი მთვრალი კაცისა და წიგნებთან და ბიბლიოთეკებთან მეომარი ყოფილი მერის, ან უკვე ოფისმოწყობილი პარლამენტარისა

**ბოროტმოქმედი ვინმე გადამთიელი კი არა, ჩვენი თანამოქალაქე, 1967 წელს დაბადებული დავით ხოჯაშვილია.**

**დამნაშავე პატრულმა შემთხვევის ადგილზე დააკავა.**

**ეს არ მოხდებოდა, ამ ბიუსტის დამდგმელებს თავიანთი საქმე თუ მამულიშვილური ვალი კეთილსინდისიერად რომ შეესრულებინათ, მონუმენტი პოსტამენტზე საჭიროებისამებრ დაემაგრებინათ...**

წინა ისტორია: ამ ორიოდე წლის წინათ ქალაქის მაშინდელ მერს, წიგნებზე „უზომოდ შეყვარებულ" დავით ნადაშვილს, აწ უკვე პარლამენტარს, წიგნებთან და ბიბლიოთეკებთან ბრძოლა დაუფასდა, ალბათ მწერლები მწერალთა სახლიდან რომ გამოყარა და გაუყიდა, საბიბლიოთეკო სისტემაში „რეფორმები" რომ გაატარა, ქალაქის 13 ბიბლიოთეკიდან 10 რომ გააუქმა, ათი ათასობით წიგნი სანაგვეებში გადაყარა, ხოლო ცენტრალურ ბიბლიოთეკას, თითქმის დაარსებიდან აკაკი წერეთლის სახელობისა რომ იყო, სახელი გადაარქვა. ილია ჭავჭავაძისა კი დაანათლა, აკაკის რა დაუწუნა, კაცმა არ იცის. ეს რომ გაემართლებინა, ბიბლიოთეკის წინ პატარა სკვერი მოაწყო და ილიას ბიუსტიც დადგა.

ილიას ბიუსტი რომ დაიდგა, ეს კარგია და მისასალმებელი, ოღონდ იგი სპეციალურად დამუშავებული მარმარილოსაგან ყოფილა დამზადებული და ქალაქის ბიუჯეტს 4500 ლარი დაჯდომია. ეს თანხა არც ისე ბევრია, მაგრამ ბიუსტი არ იყო დიდი ილიას შესაფერი, მეტად მცირე ზომისა გახლდათ. თანაც ერთი სუსტი მხარე აღმოაჩნდა, ქარი რომ ამოვარდებოდა, პირს ხან ერთ მხარეს იბრუნებდა, ხან მეორეზე, ცელქი ბავშვებიც თვითნებობდნენ, მეც მინახავს, თუ როგორ ატრიალებდნენ მას.

როგორც დანაშაულში მხილებულმა აღიარა, ის მთვრალი ყოფილა და სულაც არ ჰქონია ბოროტი განზრახვა, უბრალოდ არასწორად მდგარი გადაქანებული ბიუსტის გასწორება მოუსურვებია არც თუ მაღალ პოსტამენტზე აზოზღებულა, მაგრამ თავი ვერ შეუკავებია, ბიუსტი ხელიდან გავარდნია და...

ასე რომ, უხეიროდ გაკეთებულ საქმეს ბიუსტიც შეეწირა, რუსთაველთა ღირსებაც და ის პიროვნებაც, რომელსაც უნდოდა სხვისი უგერგილობა გამოესწორებინა.

ამასთან დაკავშირებით, ქალაქის მერს მამუკა ჩიქოვანს ვესაუბრე. როგორც მან გვითხრა, მერია უახლოეს ხანში ახალ ბიუსტს დადგამს, ამასთან უფრო ღირსეულს, ერის დიდი შვილის შესაფერისს.

**გივი ჯახუა.**

***P. S.* *როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, დამნაშავე ხოჯაშვილი ციხეს გადაურჩა, მაგრამ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს, რაც მის ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვება.***

***ხოლო ის, ვინც ძეგლი უხეიროდ გააკეთებინა, ვინც ბიბლიოთეკები გააპარტახა (ეს ბიბლიოთეკები, დღესაც გაძარცული, ფანჯრებჩამტვრეული, უპატრონოდაა მიგდებული, ერთ-ერთი კი გაარემონტებინა და საპარლამენტო ოფისად მოიწყო), ვინც მწერლობა ქუჩაში გამოყარა, პარლამენტში ზის და თუ რასა იქმს, ღმერთმა უწყის.***

***ასეთია ნაციონალების ცხოვრების წესი და...***

***გ. ჯ.***




# 2. როცა საქმე ლაპარაკობს...

***ზურაბ ოტიაშვილი ექვსიოდე თვის წინათ დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე. იმთავითვე დასახა კონკრეტული გეგმები და საქმეს შეუდგა. მას პრობლემათა გამომწვევი მიზეზები კი არ უძებნია, მათი დაძლევის გზებზე და საშუალებებზე იზრუნა. ამ საქმეში ადგილობრივი სპეციალისტების აზრიც გაიზიარა და შეეცადა, რაციონალურად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული რესურსები.***

ჩვენი ყურადღება მიიპყრო გამგებლის სამაგალითო დამოკიდებულებამ რაიონში მოქმედი საბიბლიოთეკო დაწესებულებებისადმი. მან არა მარტო შეინარჩუნა, არამედ განავითარა საბიბლიოთეკო ქსელი, აღადგინა ვაჟას მშობლიურ სოფელში ადრე დახურული ბიბლიოთეკა, გააორმაგა ბიბლიოთეკების დაფინანსება, მცირედით, მაგრამ მაინც გაუზარდა ხელფასები ბიბლიოთეკარებს.

ამჟამად რაიონში მოქმედებს 20 ბიბლიოთეკა. ყველა მათგანს აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. თავად გამგებლის ინიციატივით ჩატარდა ბიბლიოთეკართა ატესტაცია, შემოწმდა მათი პროფესიული დონე.

ზურაბ ოტიაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დუშეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში.

ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან ნორჩი მკითხველები. მათთვის ეწყობა საბავშვო ლიტერატურის გამოფენები, ტარდება ლონისძიებები. დუშეთის ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარებისა და შრომითი აღზრდის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს დუშეთის მუნიციპალიტეტის ახლადგახსნილ სახელოვნებო სკოლას.

ამჟამად დუშეთის საბიბლიოთეკო ქსელში 3 კომპიუტერია შეტანილი, რომელთაგან ორი ამუშავდება ციხისძირისა და ანანურის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებში. რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაცია გეგმაზომიერად მიმდინარეობს. გამგებელმა კარგად უწყის წიგნის ფასი, მისი როლი და ადგილი მოზარდი თაობის სულიერი სრულყოფის გზაზე. იგი, ერთი შეხედვით, სიტყვაძუნწი კაცი ჩანს, მაგრამ, ეტყობა, კარგად უწყის ერთი ჭეშმარიტება, – როცა საქმე ლაპარაკობს, შემოქმედი დუმს.

ღმერთმა ქნას, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის საქმენი მისაბაძი მაგალითი ყოფილიყოს საქართველოს იმ ქალაქებისა და რაიონების თავკაცებისთვის, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააზარალეს ადგილობრივი საბიბლიოთეკო ქსელი.

**გურამ თაყნიაშვილი,**

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო განყოფილების უფროსი**

დროის მაჯისცემა

# არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ საკუთარი სკამის გადასარჩენად, კვლავ ომი წამოიწყოს



**აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობები ჩიხში შევიდა. ჩვენი საუბარიც ერეკლე მეორის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარესთან, ბატონ არჩილ ჭყოიძესთან აგვისტოს ომით და მისი მიზეზებით დაიწყო.**

— ეს ომიც არ იყო, — გვითხრა მან, — იგი უფრო გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის პროვოკაცია ოსი, რუსი და ქართველი ხალხის მიმართ. ამ საშინელ პროვოკაციას კი საშინელი მოვლენები მოჰყვა. თითქმის აღდგენილი იყო ქართველებსა და ოსებს შორის კეთილმეზობლური, ნათესაური ურთიერთობები. იმ ადგილებში, სადაც ახლა რუსეთის საჯარისო ნაწილები დგანან, მრავალი შერეული ქართულ-ოსური ოჯახია.

მთელმა მსოფლიომ, თვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, ბოლოს ვერ დამალა, რომ ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, რამაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა, ამ მიწებს ახალგორიც მივაყოლეთ. ამან შერიგების პროცესი მინიმუმ 10-15 წლით უკან გადაწია, ზიზღი უფრო გაალვივა და დაგვაპირისპირა რუსეთთან. ვგონებ, არც ერთ ჭკუათმყოფელ ადამიანს აზრადაც არ მოუვიდოდა რუსეთთან ომი.

**— მაგრამ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით სიტუაცია ხომ სხვაგვარია, კერძოდ, ქართველები კი არ შეიჭრნენ სხვის მიწაზე, არამედ რუსეთის არმიამ დაარღვია სუვერენული საქართველოს საზღვრები და ჩვენს მიწაზე შემოიჭრა. ამაზე რას იტყოდით?**

— რა თქმა უნდა, რუსეთის ნაბიჯიც მართებული არ იყო. საერთოდ, ნებისმიერი ომი და შეიარაღებული დაპირისპირება უნდა დაიგმოს, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ კონტინენტზე მოხდება.

თემას ცოტათი განვავრცობ - მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ არსებობენ ზესახელმწიფოები და მცირე სახელმწიფოები. ზესახელმწიფოებს სურვილისამებრ შეუძლიათ უნებართვოდ, სადაც გაუხარდებათ, იქ შევიდნენ. ასე მოიქცა ამერიკის შეერთებული შტატები, როდესაც მოინდომა ერაყის გაკონტროლება და გაანადგურა, იგივე განმეორდა ავღანეთშიც. თუნდაც სერბეთის მაგალითი ავიღოთ, როცა შუა ევროპაში დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს სერბეთი, მას ჯერ ჩერნოგორია წაართვეს, შემდეგ კოსოვო, გამოდის, რომ მართლმადიდებელი ქვეყანა დაშალეს. ეს ხომ ამერიკამ და ნატომ მოიმოქმედა?

ანუ რუსეთის შემოჭრაზე საუბარი საკამათოა, რადგან მას ჰქონდა სამშვიდობოების მანდატი. იქ იდგა სამშვიდობოების ჯარი, რომელსაც მანდატი არ გაუუქმა ჩვენმა ვითომდა ანტირუსულმა ხელისუფლებამ. ოპოზიცია მოითხოვდა ამ მანდატის გაუქმებას, მაგრამ ხელისუფლება პირიქით იქცეოდა — მუდმივად ხელს უწყობდა ამ მანდატს და აძლიერებდა. ვითომ მოითხოვდნენ მათს გასვლას, მაგრამ რეალურად უგრძელებდნენ მანდატს სამშვიდობოებს.

ასე რომ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — რუსეთს სტრატეგიული ინტერესი ყოველთვის ექნება იმ ქვეყანაში, რომელთანაც ისტორიულადაა დაკავშირებული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცნება საქართველო მაშინ აღორძინდა, როცა საქართველომ რუსეთის ხელით აფხაზეთი და აჭარა შეიერთა და იქიდან ოსმალოები განდევნა. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსეთს აფხაზეთი აინტერესებდეს. ჩვენ არ უნდა გადავყვეთ უაზრო აბრევიატურებს — მაპს და ნატოს. თუ რუსეთის ბაზები განლაგდება აფხაზეთში, ერთი მხრივ, კარგიც არის და საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას გამოიწვევს.

**— განა ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით ეკონომიკურ წარმატებებზე არ ლაპარაკობს? ლამის მთელი მსოფლიო კრიზისმა მოიცვა და ამ ფონზე საქართველო თურმე წარმატებულია სხვა ქვეყნებს შორის...**

— ჩვენ დავინახეთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართული ეკონომიკა კი არ ააყვავა, დააქცია. თუ უწინ კახელ გლეხს ყურძნის გაყიდვა ხუთმაგ-ექვსმაგ ფასად შეეძლო, ეს იმიტომ, რომ ღვინოს რუსეთის ბაზარზე გასავალი ჰქონდა. გორი და მთელი ქართლის რეგიონი წელში გამართული იყო, რადგან ხილი რუსეთში გაჰქონდათ. წარმოშობით იმერეთიდან ვარ და ქუთაისში კამა სათბურებში მოჰყავდათ. დღეში 4 თვითმფრინავი სპეცრეისით რუსეთში მიფრინავდა და 1 კილოგრამი კამის ფასი 12-დან 15 დოლარამდე აღწევდა. ჩაიზე და ციტრუსზე აღარაფერს ვიტყვი, რუსეთში როგორ საღდებოდა. იქიდან კი სანაცვლოდ ხეტყე, ნავთობი, რკინა, ანუ ყველა ის მასალა, ის სასიცოცხლო რესურსი შემოგვქონდა, რაც ქვეყანას სჭირდებოდა.

ამერიკა საქართველოს სტრატეგიულად მიიჩნევს, მოსწონს და აქ სურს თავისი გავლენის სფერო ჰქონდეს, მაგრამ მან არც ყურძენი შეიძინა, არც ჩვენი ვაშლი, არც ციტრუსი იყიდა. ეკონომიკურად აბსოლუტურად ჩამოქცეულები დავრჩით. რომ იძახის სააკაშვილი, ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიქცაო, რა უნდა ჩამოიქცეს, რაც არ გაქვს?

**— თქვენ, როგორც ერეკლე მეორის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, იწონებთ საქართველოს რუსეთთან შეერთების მისეულ ნაბიჯს. მაგრამ ხომ ვერსად გავექცევით იმას, რომ ერთმორწმუნე რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და გუბერნიად აქცია?**

— გეთანხმებით, რუსეთმა გააუქმა არა მარტო საქართველოს სამეფო ტახტი, არამედ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც, მაგრამ ეს მარტო საქართველოს მიმართ არსებული მისი პოლიტიკა არ იყო, მან თვითონაც ცუდი შედეგები მოიმკო ამგვარი პოლიტიკით, საბოლოოდ დაემხო მისი სამეფო ტახტიც, ფაქტობრივად გაუქმდა რუსეთის ეკლესიაც თავისი რელიგიური შინაარსით, როცა 1917 წელს ბოლშევიკები მოვიდნენ.

**— სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ტენდენციური წერილები გამოქვეყნდა. ქართველები გეორგიევსკის ტრაქტატში მხოლოდ ცუდს ხედავდნენ, რომ ამით ფაქტობრივად მოხდა ანექსია, რუსებიც, ასევე, სათავისოდ მსჯელობდნენ, თითქოსდა, ეს იყო ჰუმანიტარული აქტი და ტრაქტატმა გადაარჩინა საქართველოო. „კავკასია-ექსპერტმა" ანდრეი ეპიფანცევის სტატიის „იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე?" გამო იმსჯელა, ეპიფანცევი ერეკლე მეორეს არა რუსოფილს, არამედ მოღალატეს უწოდებს, ვინც რუსეთისგან ფარულად ოსმალებთან თანამშრომლობდაო...**

— ვფიქრობ, 9 აპრილი იყო სსრკ-ს რღვევისა და იმ საშინელი გეგმის განხორციელების დასაწყისი, რასაც ზბიგნევ ბჟეზინსკი ახმოვანებდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ სსრკ-ს რღვევის შემდეგ ჩვენ დაგვრჩება ერთი მტერი — მართლმადიდებლობა და დავიწყებთ მართლმადიდებლობის რღვევასაცო. რა თქმა უნდა, ვერც ბჟეზინსკი და ვერც ვერავინ მართლმადიდებლობას ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ის, რომ 9 აპრილს მათ მოახერხეს ამ ორ მართლმადიდებელ ერს შორის ხიდის ჩატეხვა, ცხადზე ცხადია.

ამ ფაქტს რუსებს აბრალებენ, მაგრამ იმ დროს რუსეთს გორბაჩოვი მართავდა, საგარეო საქმეთა მინისტრი კი შევარდნაძე იყო, რომელიც საით იყურებოდა და ვისი აგენტურა იყო, დღეს ცხადად ჩანს. მაშინ სწორად ვერ განვსაჯეთ ეს და რუსებს დავაბრალეთ. დაგვავიწყდა, რომ იყო სსრკ-ს სპეცდანიშნულების რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება ქართველიც, რუსიც, ყირგიზიც ყოფილიყო გაერთიანებული. მომიტინგეთა დაშლის შესახებ გადაწყვეტილება კი შეიძლება ერთ ან ორ კაცს მიეღო — გორბაჩოვს და კიდევ ბჟეზინსკის ტიპის იდეოლოგს, რომლებმაც შეძლეს ქართველებსა და რუსებს შორის ხიდის ჩატეხვა, რათა სსრკ-ს დაშლის შემდეგ საშინელი ზიზღი გაჩენილიყო ორ ერს შორის. ამის შემდეგ მოვიდა ხალხი, რომლებიც ცდილობდნენ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ისტორიის დაკნინებას.

ერეკლე მეფემ ყველაზე მართებული ნაბიჯი გადადგა, რამაც ფიზიკურად იხსნა საქართველოს მოსახლეობა. დღეს თუ ჩვენ ვართ 4 მილიონი, მაშინ 400 ათასი ვიყავით. ერეკლე მეორემ მართლმადიდებლობა შეგვინარჩუნა, რაც ყველაზე არსებითია.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: ენა, მამული, სარწმუნოება, ანუ თუ ქართველი ხარ, უნდა გქონდეს ენა, გიყვარდეს მამული და იყო მართლმადიდებელი. ეს საკამათო არ არის, თუმცა ჩვენი ხელისუფლებისგან და დასავლეთის მიერ მოგზავნილი შპიონაჟისგან გამორიცხული როდია ამის წინააღმდეგ მოქმედება. სადაც ერეკლეს ლანძღავენ, იქ ილია ჭავჭავაძეც შეიძლება მიაყოლონ, დავით აღმაშენებლის ძეგლი ჩამოაგდონ, დაანგრიონ ძველი თბილისი, რადგან სული და გული ქართული არ აქვთ.

**— სამწუხაროდ, რუსეთში მიზანმიმართული აგიტაცია მიმდინარეობს ქართველების წინააღმდეგ. იქაური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისიც არ იცის, რომ ქართველები ქრისტიანები არიან. მათ ჩვენ მაჰმადიანებად მივაჩნივართ... ესეც ხომ გასათვალისწინებელია?**

— საგულისხმოა, რომ აგვისტოს დღეებში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაბედული და ქრისტიანული გადაწყვეტილება მიიღო და არ ცნო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეპარქიები. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში მცხოვრებმა 100 მილიონმა მართლმადიდებელმა ეს არ ცნო. თუმცა დღეს ქართულ მასმედიაში რუსული ეკლესიის მესვეურთ აგენტებად მიიჩნევენ, აზრს საპატრიარქოს კი არ ეკითხებიან, არამედ საქართველოს სინოდიდან განკვეთილ მღვდლებს, თუნდაც ბასილ კობახიძეს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერა სწორად გამოვიყენოთ, რადგან მას აქვს ნება და უნდა, საქართველო იყოს მთლიანი, ოღონდ არ მიეყიდოს დასავლეთს, სხვა კონფესიებს, დასავლეთის მიერ დაფინანსებულ სექტებს, არ მართავდნენ მას ბოკერიასნაირი, თარგამაძისნაირი ადამიანები და ბჟეზინსკის იდეოლოგიის მიმდევრები.

40 წელს ზემოთ გადაცილებულმა ხალხმა რუსეთშიც და საქართველოშიც კარგად იციან, რომ რუსები და ქართველები ერთმანეთის მტრები არ ყოფილან, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალ თაობაში საშინელი ზიზღია ჩადებული. ამიტომ ჩვენ რუსულ-ქართული გაზეთიც გამოვუშვით — „ერეკლეს გზა", რომელიც მოსკოვში გავაგზავნეთ, და თუ ვინმეს ამ პროექტის დაფინანსების სურვილი ექნება, გაცილებით დიდი ტირაჟით დაიბეჭდება როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ჩვენ გვინდა, რომ არა მხოლოდ უარყოფითზე, არამედ დადებითზე გამახვილდეს ყურადღება, განსაკუთრებით რუსულ კულტურაზე, მწერლობაზე, რომელსაც ქართველი ახალგაზრდობა არ იცნობს, და ამით სწორედ მათ ბევრი დააკლდებათ.

**— რას მოიმოქმედებს თქვენი საზოგადოება რუსეთთან ვითარების მოსაგვარებლად?**

— მალე დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის აღსადგენად. ასე არ შეიძლება, მტრებსაც კი ელაპარაკებიან. ჩვენ სწორედ მტრებთან უნდა მოვნახოთ დიპლომატიური ენა. რუსებსა და ქართველებს 200 წლის მანძილზე (და არა მხოლოდ 200 წლის მანძილზეძ გვქონდა კარგი ურთიერთობები, რომლებიც ცუდს გადაწონის. უნდა აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები, რომ რუსეთშიც და საქართველოშიც ადამიანებს დიალოგის დაწყების საშუალება მივცეთ.

როგორც საქართველოს, ისე რუსეთის სირცხვილია, რომ სარკოზი აგვარებდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. ქართველი გენერალი ბაგრატიონი და რუსები ერთად ომობდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ, ერთად ვომობდით ჰიტლერის და სხვა მტრების წინააღმდეგაც. ჩვენი ტრადიციები შევინარჩუნეთ. სირცხვილია, სომხები და აზერბაიჯანელები, ან ვიღაც ევროპელები გვარიგებდნენ.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი ომის პროვოცირების საფრთხე, მით უფრო დაძაბული შიდა ვითარების ფონზე ხელისუფლებამ საკუთარი სკამის გადასარჩენად ეს რომ მოიმოქმედოს?**

— არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ საკუთარი სკამის გადასარჩენად კვლავ ომი წამოიწყოს. ამის შანსი არსებობს, მაგრამ, ვფიქრობ, რუსეთი გონივრულად მოიქცევა და ომს აღარ დაიწყებს საქართველოში. ეს ჩემი აზრია.

**ესაუბრა**
**თორნიკე შანიძე**



პოზიცია

# „ჩოხისთვის" ქვეყანას ნუ გაყიდით!

**სამწუხაროა, რომ საქართველოში, როგორც ჩანს, ისევ იწყება პირველკაცობისთვის დაუნდობელი ბრძოლა. ვითომ ქვეყნის ბედი აწუხებთ, სინამდვილეში კი ჩოხისთვის იმეტებენ ერთმანეთსაც და ქვეყანასაც. რომელი ჩოხისთვის, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.**

არაფერია ისეთი ადვილი, როგორც ჩინებულად მოგვარებული საქმის დაწუნება და ხელების მარჯვედ ქნევა. ზოგიერთ ოპოზიციონერს ჰგონია, დიდებულ საქმეს აკეთებს, მაგრამ მხოლოდ სიტყვების ხატოვნად დამეზობლებითაა გართული და მაღალ ტონში დღემუდამ ერთსა და იმავეს გაიძახის — გადადგეს ქვეყნის პრეზიდენტი, ამაშია საქართველოს გადარჩენის პანაცეაო. კატეგორიული ტონით მოითხოვენ ზაფხულში არჩევნების ჩატარებას. ეს კი გონიერ ადამიანებს ღიმსა ჰგვრის და ზამთარში ბებიის მიერ ბუხრის პირას „დაქუხებულ" ზღაპრად მიიჩნევს. ცხადია, ჟამსა ასეთი შეჭირვებისა, როდესაც მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, საქართველოს სადა აქვს წყალში გადასაყრელი მილიონები?

სამწუხაროდ, ჩვენთან წესად და დაუწერელ კანონად დამკვიდრდა, რომ, თუ რომელიმე მაღალჩინოსანი სამუშაოდან დაითხოვეს, მყისვე ოპოზიციას მიაშურებს, სადაც ტრიუმფალური შეხვედრა და „შტატიანი" ადგილი ელოდება.

გაოცებას იწვევს ზოგიერთი გამოჩენილი პირის ქმედება. ქ-ნი ნინო ბურჯანაძე ცნობილი პიროვნებაა, რომელმაც კარგად დაიწყო და ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთა, მაგრამ კარგი დასაწყისი ხომ მხოლოდ საქმის ნახევარია? ამაზე ქალბატონი ნინო კარგად უნდა დაფიქრდეს.

1921 წლიდან მოყოლებული საქართველოში პირველ ხელმძღვანელ პირს იმდენი რამე რომ გაეკეთებინა, რამდენიც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვლილი 6 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა, ახლა ჩვენზე უკეთესი ქვეყანა არ იქნებოდა.

ამჟამად საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის ბატონი მიხეილი ფრიად საჭირო პერსონა და ნამდვილი მოვლენაა, რომელიც თავისი შორსმჭვრეტი პოლიტიკით და საქმიანობით მყარად გავიდა საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ მართლდება დიდი ქართველის შეგონება, რომელიც ყველა ფორმაციის სამივე ცვლაში შეუფერხებლივ მუშაობს.

„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები".

**დასასრულ ერთი მინდა ვთქვა:**

**არ ვუწყი, ვინ როგორ შეხედავს და შეაფასებს ჩემს ნაფერებ, ღამენათევ, ალალ-მართალ სიტყვებსა და აზრთა კონას, მაგრამ მუშნისა არ იყოს, აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს. გაზეთი კი, იმედია, დამიბეჭდავს ამ ნააზრევს.**

**ვარლამ როდონაია,**
**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე.**

სასწრაფოდ იძებნება!

**გუშინ ქართულ პრესაში ისევ მოვკარი თვალი სენსაციურ სათაურს — „დაკარგულია 500 მილიონი...“ კარგით რა, კოლეგებო, თუ ანალიზის უნარი არა გაქვთ, სირცხვილის გრძნობა სადღა დაკარგეთ? ვთქვათ, ჩვენი ხელისუფლება უზნეოა (რის საფუძველიც ნამდვილად არ გაგვაჩნია) და 500 მილიონი დოლარი გაუცნობიერებლად შემოეჭამა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თქვენ ხომ მაინც უნდა გამოიჩინოთ კეთილგონიერება და სამოღვაწეო ასპარეზიდან წასვლის წინ მთავრობას უნებლიეთ გადაყლაპული ლუკმა ყელში არ გაუჩხიროთ?!**

არადა, კი არ ვხუმრობ, ის 500 მილიონი დოლარი, რომელიც ჩვენმა გამათხოვრებულმა მთავრობამ შარშან გაზაფხულზე ლონდონის ბირჟაზე ევროობლიგაციების გაყიდვის წყალობით ვალად წამოიკიდა, ლამის ყელში ამოადინონ. განსაკუთრებით ეკონომიკის ექსპერტები ჩაუღგნენ კრიჭაში, რომლებიც აგერ უკვე ერთი წელიწადია, კარგად გაწვრთნილი მეძებრებივით მიყვებიან ფულის „გაჩუმათების“ კვალს, მაგრამ დღემდე ვერ მიუგნიათ. თუმცა რა იყო მისაჩუმათებელი, გაუგებარია. მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე, როგორც მახსოვს, თავსაც კი იწონებდა: არავინ იფიქროს, რომ ობლიგაციებით მოზიდულ თანხას ჯიბეში ჩავიდებთ, ფული იმისთვის გვჭირდება, რომ ქვეყნისთვის ეგრერიგად აუცილებელ გაზსაცავის მშენებლობას და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციას მოვახმაროთო.

ბატონი ლადო გურგენიძე, რომელმაც ევროობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით იმ პერიოდში მთელი ევროპა და ამერიკა შემოიარა, აღფრთოვანებულიც კი იყო საობლიგაციო ჩალიჩის ჯერ არ გაგონილი შედეგებით. აბა ნახეთ, ამბობდა ის, რა წარმატებას გამოვკარით ხელი, ობლიგაციების ნახევარი ბრიტანელმა ინვესტორებმა დაიტაცეს, 13 პროცენტი კი ოფშორულ ზონებში მომუშავე ამერიკულმა კომპანიებმაო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ობლიგაციების ნომინალური წლიური განაკვეთი 7,5 პროცენტს არ აღემატება, საწუწუნოც აღარაფერი დაგვრჩებაო.



# „დაკარგულია 500 მილიონი...“

## 5 მილიონი იმას, ვინც ფულს 9 აპრილამდე იპოვის!

მთავრობის გულდაჯერებისა არა სწამდა პარლამენტის მაშინდელ დამოუკიდებელ დეპუტატს და ეკონომიკის ყოფილ მინისტრს ლადო პაპავას, რომელიც მოუწოდებდა ხელისუფლებას — თავი შეეკავებინა ასეთი გაუმართლებელი რისკისგან, ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე მსოფლიო ფინანსური კრიზისის საშიშროება არ გაივლიდა. პაპავა შიშობდა, რომ ეს თანხა მომავალ თაობებს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის აზრით, ამ ტიპის ვალის აღება მხოლოდ ომის პირობებშია გამართლებული, რადგან ის ფინანსურად წამგებიანია.

თუმცა, გააჩნია ვისთვის წამგებიანია და ვისთვის კიდევ — მომგებიანი, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობისთვის ის მომგებიანი იყო. ამიტომაც, როგორც სჩვევია ხოლმე, რისკს არ მოერიდა, ვალიც გაბედულად აიღო და, როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, ასევე გაბედულად შეახრამუნა კიდეც.

ოპონენტებს რატომღაც არ სჯერათ (რატომ, ვერ გავიგე, ვითომ მანამდე არაფერი შეუხრამუნებიათ?!) და მოსამართლის მანტიამოსხმულები ორაზროვნად და ცინიკურად იმეორებენ ერთიდაიგივე კითხვებს: რა მიზანს ემსახურებოდა ვალის აღება? და თუ მაინც აიღეს, რაში დახარჯეს? ჰე ბიჭო, მთავარი ვალის აღება იყო, თორემ შემოსული თანხის შეჭმა რომ ჩვენს თავქარიან და ფულიყლაპია მთავრობას არ გაუჭირდებოდა, ამის გარანტია იმთავითვე არსებობდა. თუ გაჭირდებოდა, ბოლოს და ბოლოს ერთ ნაწილს გაზსაცავის მშენებლობას მოახმარდა, მეორე ნაწილს — მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ინვესტირებას, მესამეს — ქალაქების გაშადრევნებას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თუმცა საქმე ასე შორს არ წასულა — გასული წლის იანვარსა და მაისში ქვეყანას საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები წამოეწია და, როგორც ავი ენები ამბობენ, საობლიგაციო ბიზნესით გაიმასქნებული თანხებიც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს მოხმარდა. აბა როგორ, არჩევნებს „მოგება“ ხომ უნდოდა?

თუმცა, რა საჭიროა მკითხაობა, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი პირით განაცხადა: აღარ გამაგონოთ არჩევნები 2013 წლამდე, სწორედ მაგ არჩევნებმა გაგვატყავა, რომლის მარტო ბოლო „ვარიანტი“ 1-1,5 მილიარდი ლარი დაგვიჯდაო(!?). ჰოდა, როცა ამდენი უჯდება პრეზიდენტს საკუთარი არჩევნები, დიდი უსინდისო უნდა იყო, ჰკითხო — ის 500 მილიონი დოლარი რა უყავი, ევროობლიგაციების მანიპულირებით რომ შემოვიდაო?

აღარაფერს ვამბობ რუსეთის მიერ თავსმოხვეულ სისხლისმღვრელ ომზე, რომელშიც დიდი მარცხის ფასად გამარჯვებულები გამოვედით. კარგად მოგეხსენებათ, მარცხისა თუ გამარჯვების მიუხედავად, ომს ამოუყორავი მუცელი აქვს და ყველაფრის ერთბაშად გადასანსვლა შეუძლია. ჰოდა ის 500 მილიონი დოლარიც, სხვა უამრავ ქონებასთან ერთად, იმან გადასანსლა!

წინასწარვე იცოდა ხელისუფლებამ, რომ ომს ვერ ასცდებოდა და გადასასანსლად 500 მილიონი ავანსად მოუმზადა. ამის მიუხედავად, ვინმეს კიდევ რაიმეში ეჭვი რომ არ შეეპაროს, მთავრობას და პრეზიდენტს ყოველ შემთხვევისთვის ვურჩევ, იმ ყბადაღებულ 500 მილიონზე ოფიციალურად საყოველთაო ძებნა გამოაცხადოს და მპოვნელი 5 მილიონი დოლარით დაასაჩუქროს. ოღონდ ეს ყველაფერი 9 აპრილამდე უნდა მოხდეს.

რატომ 9 აპრილამდე? კიდევ რაიმე გაუგებრობას რომ არ გადავეყაროთ. ხომ შეიძლება ამ თარიღის შემდეგ მპოვნელს ძველი მთავრობა ადგილზე არ დახვდეს, ახალმა კი სხვის მიერ ნასესხები თანხის მიღებაზე უარი განაცხადოს? ეს რომ არ მოხდეს, ვფიქრობ, ძველსა და ახალ მთავრობას შორის ყოველგვარი ანგარიშსწორება 9 აპრილამდე უნდა დასრულდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

რა ხდება?

# მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ნაწილზე უფრო გასაიდუმლოებული?!

## მაინც რა წერია იმ მემორანდუმში? – საკითხავი აი, ეს არის!

***საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ რუსეთულ სახელმწიფო კომპანიას „რაო ეესთან“ ენგურჰესის თაობაზე გაფორმებული მემორანდუმი იმდენად გასაიდუმლოებული დოკუმენტია, რომლის შინაარსის გაგება (თუმცა ეს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის, შარშანდელი აგრესიისა და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენს თითოეულ მოქალაქეს დიდად აინტერესებს), თუმცა ფაქტობრივად შესაძლოა, რადგან კონკრეტიკაზე ლაპარაკს ყველა თავს არიდებს. სიმართლის გასაგებად ცდა მაინც არ დავაკელით და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს არჩილ ნიკოლაიშვილს მივაკითხეთ, რომელმაც კითხვაზე, თუ რას გულისხმობს, კერძოდ, ენგურჰესის თაობაზე გაფორმებული მემორანდუმი და რატომ უმალავენ მის შინაარსს საზოგადოებრიობას, გვიპასუხა:***



— აღნიშნული მემორანდუმის გაფორმების მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ არსებობდა ენგურჰესიდან, კერძოდ, სოფელ საბერიოდან ქალაქ ზესტაფონამდე ელექტროგადამცემი ხაზის „იმერეთის“ გათიშვის საშიშროება, რითაც მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა და საწარმოები უელექტროენერგიოდ დარჩებოდნენ.

მინისტრის მოადგილემ ჩვენი ყურადღება იმ გარემოებას მიაპყრო, რაც მანამდეც მშვენივრად ვიცოდით: იმის საშიშროება, რომ ენგურჰესიდან დენი ჩვენკენ არ წამოვიდოდა, იმითაა განპირობებული, რომ თავად ელექტროსადგური და გამანაწილებელი ქვესადგური ჩვენგან არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა განთავსებული და, თითქოსდა, არსებობდა იმის საფრთხე, რომ გარკვეულ დესტრუქციულ ძალებს იგი გაეთიშათ. თავად ენგურჰესის სისტემა ისეა აწყობილი, რომ **ერთი ჩამრთველის ამოგდებაც კი, ფაქტობრივად, მთლიანად ელექტროსადგურის გათიშვას ნიშნავს, რის გაკეთებაც სათანადოდ მომზადებული კაცისთვის დიდი სიძნელე არ არის.**

— აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თუ „რაო ეესი“ საკუთარ თავზე აიღებს ენგურჰესის უსაფრთხოება-უზრუნველყოფის გარანტიას და იმ ელექტროენერგიაში, რაც იქიდან აფხაზეთს უფასოდ მიეწოდებოდა (მილიარდ 300 მილიონი კილოვატი ყოველწლიურად), ახლა უკვე ფულსაც გადაიხდის, რომელიც ბიუჯეტში შევა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, — ესაა მინისტრის მოადგილის არჩილ ნიკოლაიშვილის კომენტარი, რომელიც ენგურჰესთან დაკავშირებულ თემატიკას კი კურირებს, ოღონდ, აღნიშნული მემორანდუმის ტექსტი არა აქვს და, როგორც თავად აღნიშნა, მისი დეტალები დიდად „არც აინტერესებს“.

მაგრამ ხალხს რომ აინტერესებს? რას ვიზამთ, ხალხის ინტერესი არავის აინტერესებს! ამდენად, თუ მინისტრის მოადგილესთან საუბრის არსი სწორად გავიგეთ, აღნიშნულ მემორანდუმში, სულ მცირე ორი მომენტია პოზიტიური: **ერთი, რომ „რაო ეესი“ ენგურჰესზე ენერგოუსაფრთხოების გარანტი იქნება, მეორე კი ის, რომ ელექტროენერგიის გაყიდვის შედეგად ბიუჯეტში თანხები შემოვა.**

აქვე გვინდა კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: თავისთავად, ენგურჰესის გამანაწილებელი ქვესადგურის გათიშვა და იქ, ასე ვთქვათ, მავანთა შესაძლო „თვითნებობა“, საშიში იმდენად არ არის, რადგან, როგორც ვიცით, წყალსაცავი, რომლიდან წყალი მილებით ტურბინისკენ მიედინება, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ამდენად, ენგურჰესზე ფარული თუ აშკარა დაპირისპირება არც ქართულ მხარეს აძლევს ხელს და არც დე ფაქტო აფხაზურს, ვინაიდან მაშინ ორივე მხარე უელექტროენერგიოდ დარჩება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ენგურჰესზე ყველაფერი მართლაც თუ ისეა, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ჩვენთვის მაინც გაუგებარია, თუ რატომ არის რუსეთ-საქართველოს მიერ ენგურჰესის თაობაზე გაფორმებული მემორანდუმის ტექსტი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ნაწილზე უფრო მეტად გასაიდუმლოებული?

**ოთარ ტურაბელიძე**

რა დღეშიც ვართ

*უკანასკნელ წლებში ხელისუფლების უპასუხისმგებლობის მატებასთან ერთად კიდევ უფრო იმატა მომხმარებელთა უფლებების დაუცველობის ნეგატიურმა მოვლენებმა. უვარგისი, ვადაგასული, ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებამ, შემოტანამ და რეალიზაციამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო.*

*ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ხორბლის ფქვილი „ფათოღლუ", „ურუსოი", „განჯი", „ერეხი", „აჰლია", „ერხანი" (თურქეთიდან); ძეხვი „ლიუბიტელსკაია", „ჩაინაია" (მოსკოვის ხორცკომბინატი „მიქოიანი", შპს „ინტეკი" (ინდმეწარმე ა. გუგეშიძე); კარაქი „ნალები", „გლეხური" (ინდმეწარმე ნ. ჭოხონელიძე, „კგ", ზოგიერთი დამამზადებელი უცნობია); სოსისი „ივერია", „იმერული", „ყველიანი", „რძიანი" (ინდმეწარმე „მ. ლომსაძე", სს „ვაკე", შპს „ადვ" ალკონი); ფოთლოვანი შავი ბაიხის ჩაი „ნესტა", ცივი ჩაი, „აისთი", „კოლხეთი" (დამამზადებლები უცნობია); ქათმის ბარკალი „სადია" (ბრაზილია); ტყემლის წვენი „აჯიკა" (შპს „სარკო"); მალფუჭადი მაიონეზი („ნაშა სემია"); ღვინოები „გარეჯი", „მუკუზანი", „ბაგრატი", „ხვანჭკარა", „ქინძმარაული", „კახეთი", „მანავი", „ქალაქური", „მუსკადორი" (შპს „სამამულე", „ლამპარი", „ბზვანი", „დედოფალა", „კარდანახი-2000", „ეგრისი"); არყები „კრისტალი", „მოსკოვსკაია", „ფიჭის", „ევროპა", „ფორტუნა", „აბსოლუტი", „ტრიუმფი", „პერცოვკა", „ზოლოტოე კოლცო", „კრემლიოვსკაია" (შპს „თრიალეთი", სს გომი, „რექტიფიკტი", შპს „ევროპა", „ეგრისი", „ტრიუმფი", „ვობი", „კამარა", „ეგრისი") და სხვ.*

# ხელისუფლებამ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ხელი მთლიანად აიღო

## ჩვენი ხალხი ყველაფერს ჭამს და ყველაფერს სვამს!..

ამიტომ არის, რომ პურმა გემო დაკარგა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რომ კამეჩის ხორცი ძროხის ხორცად გადაიქცა, შუშხუნა ღვინის „დახვეწილი ბუკეტი" – დახვეწილ სიყალბედ, ხორცი, ძეხვი და სოსისი სხვადასხვა ბაქტერიებით დაბინძურდა... **გამოდის, რომ ჩვენი ხალხი ყველაფერს ჭამს და ყველაფერს სვამს, რომ ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთს გენოციდს ვუწყობთ.**

კვების პროდუქტების ხარისხსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა რომ თვითდინებაზეა მიშვებული, ეს ნათლად ჩანს ჩვენი ასოციაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მასალებიდანაც. დადგინდა, რომ მოვაჭრე ობიექტების 95 პროცენტს არა აქვს მათი საქმიანობისა და მუშაობის რეჟიმის შემცველი აბრა, მიმწოდებლების დასახელება და მისამართები, ანგარიშ-ფაქტურები და სატრანსპორტო დოკუმენტები. ობიექტების 90 პროცენტი მყიდველებთან არ ახდენს ანგარიშსწორებას, საკასო აპარატის მეშვეობით არ გასცემს ქვითარს, ხშირია ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. სარეალიზაციო პროდუქციის 85 პროცენტს არ აღმოაჩნდა გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადები, სწორად გაფორმებული ფასმაჩვენებლები, ინფორმაცია ხარისხისა და წონის, საკვები პროდუქტების შემადგენლობისა და სხვა დამატების შესახებ. დაბინძურებული სატრანსპორტო საშუალებებით პურის, პურ-ფუნთუშეულის და კვების სხვა პროდუქტების გადაზიდვა-ვაჭრობას ახდენს 78 პროცენტი. მომსახურე პერსონალის 4/5-ზე მეტს არ აღმოაჩნდა ჯანრთელობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა რაიმე დოკუმენტი. ლაბორატორიულად შეუმოწმებელი, სანიტარიული წესების უგულებელყოფით პროდუქტები იყიდებოდა თითქმის ყველა ობიექტში.

ალურიცხავი, ჯანმრთელობისთვის საშიში გენმოდიფიცირებული პროდუქტები შემოდის თურქეთიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, არგენტინიდან (კიტრი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ფქვილი და სხვ.). შემაშფოთებელი ფაქტები მოჰყავს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს გიორგი გაჩეჩილაძეს. მისი თქმით, **„ამერიკიდან შემოსული ხორბლის 81 პროცენტი, სიმინდის 40 პროცენტი და ბამბის 73 პროცენტი გენმოდიფიცირებულია. არგენტინიდან შემოტანილი სოიის 95 პროცენტი და სიმინდის 15 პროცენტი ასევე გენური მანიპულირებით არის მიღებული. რაც არ უნდა საოცარი იყოს, ყველაზე მეტი რაოდენობით ასეთი პროდუქტები შემოდის რუსეთიდან. ეს არის სოსისები, სარდელები, პელმენები, პაშტეტები, კატლეტები, თევზეული და სხვა".**



საქართველოს ეროვნული აკადემიის მეცნიერებმა ჯერ კიდევ 2005 წელს გააფრთხილეს მოსახლეობა ასეთი პროდუქტების მოხმარების მავნეობის თაობაზე. ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეებში განგაშის ზარი შემოჰკრა მანიპულაციისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტების მოხმარების საშიშროებაზე და მოუწოდა ხელისუფლებას სათანადო ღონისძიებების გატარებისაკენ, მაგრამ ვინ მოუსმინა?!

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი უკიდურესად უარყოფითია – იმპორტი 4-ჯერ და მეტად აჭარბებს ექსპორტს, რის გამოც კიდევ უფრო იზრდება რისკი ქვეყანაში უხარისხო, ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტების შემოზიდვისა.

ყოველივე ამის მიზეზი სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად გახლავთ კახა ბენდუქიძის „თამადობით" პარლამენტისა და მთავრობის მიერ გატარებული „რეფორმები", რომელმაც გამოიწვია **საკანონმდებლო ბაზის მოშლა, გაუმართლებელი სტრუქტურული ცვლილებები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების რეორგანიზაცია, მომხმარებელთა უფლებების დამცავი ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის მოშთობა. საქართველოს პარლამენტმა სამჯერ ჩააგდო გაეროს მიერ 2000 წელს რეკომენდებული კარტახენას ოქმის რატიფიკაცია. 2004 წელს გაუქმდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რითაც დასამარდა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული ბაზრის არსებობის წინაპირობა. პარლამენტმა 2005 წელს შეაჩერა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის 30-32-ე მუხლების მოქმედება და ფაქტობრივად გააუქმა სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტი, რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაცვა.**

**2006 წელს მთავრობამ კონტროლის ფუნქცია შეუჩერა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს", ჯერ 2008 წლის 1 ივნისამდე, ხოლო შემდეგ 2010 წლის 1 იანვრამდე. დამწვარზე მდუღარე წყლის დასხმის ტოლფასი აღმოჩნდა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციისა და ფიტოსანიტარიული სამსახურების გაუქმება, რითაც საფუძველი გამოეცალა სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას, მოსახლეობის სანიტარიული განათლებისა და ჰიგიენური აღზრდის უზრუნველყოფას. ჩვენმა კანონმდებლებმა თურქეთიდან იმპორტირებულ პროდუქტებზე დააწესეს დაბეგვრის ნულოვანი რეჟიმი, რაც სასათბურე პირობებს უქმნის იქიდან შემოზიდულ პროდუქციას და ძირს უთხრის ეროვნული პროდუქციის წარმოებასა და განვითარებას.**

საგადასახადო კოდექსის ხშირმა ცვლილებებმა და მაღალმა საგადასახადო განაკვეთმა დიდი ზიანი მიაყენა როგორც მეწარმეებს, ასევე მომხმარებლებს. საშემოსავლო გადასახადის 12 პროცენტიდან 25 პროცენტამდე გაზრდამ (ახლა 20 პროცენტამდე დაიყვანეს) გააუარესა დასაქმებულთა ეკონომიკური მდგომარეობა და ხელი შეუწყო „შავი ბაზრის" ზრდას.

კანონმდებლებმა გააუქმეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 15-მდე მუხლი, რომლებიც ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციებს მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის, არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის, ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების, ლიცენზირების, სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და სხვა ნორმების დარღვევებისათვის სხვადასხვა სიდიდის თანხებს. ამით წახალისებული სავაჭრო თუ საწარმოო ობიექტების ზოგიერთი ხელმძღვანელი იმდენად გათავხედდა, რომ მომხმარებელს და ასოციაციის ექსპერტებს საშუალებას არ აძლევს მოიპოვონ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

**სადღეისოდ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით და ალკოჰოლური სასმელებით მოქალაქეთა მოწამვლების შესახებ, რის გამოც ვერ ხერხდება თითოეული მათგანის ხვედრითი წილის დადგენა ტრამვირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობიდან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ანამნეზური მიახლოებითაც კი ვერ აქვეყნებს დასახელებულ მონაცემებს, რაც ხელს უშლის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას.**

ამ და სხვა დარღვევების შესახებ ჩვენი ასოციაცია სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას (პრესითა და ტელევიზიით, პირდაპირი მიმართვებით) საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, თბილისის საკრებულოსა და მერიას, სხვადასხვა რეგიონის ხელმძღვანელობას, სთხოვდა მათ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, მაგრამ ამაოდ.

**საოცარი კია, ნორმალური ქვეყნის ნორმალურ ხელისუფლებას განა საკუთარი ხალხის უფლებებისა და ჯანმრთელობის დასაცავად თხოვნა უნდა სჭირდებოდეს?**

**ლევან ბაღდავაძე,**
**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი, დოქტორი.**

ინფორმაცია

### სად ერეკლე და... სად სტუდენტი თეკლე?!

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ დღეისთვის ქვეყანაში არსებული ძირითადი თემებია ეკონომიკური მდგომარეობა, უსაფრთხოება და შიდა პოლიტიკა.

მან აღნიშნა, რომ კონფლიქტების კუთხით მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია, ამის ფაქტორად პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთი დაასახელა.

მისი თქმით, ერთადერთი დადებითი, რაც კონფლიქტების კუთხით მოხდა, ის არის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს თავისი სახელი – საოკუპაციო ჯარი დაერქვა.

დავით ბაქრაძემ კონფლიქტების მოგვარების გზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საჭიროა დიალოგი. ამისათვის კი რუსეთმა ... ბი უნდა გაიყვანოს და იქ განლაგდეს საერთაშორისო ძალები. ამის შემდეგ დიალოგს ექნება აზრი და შედეგიც, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მანვე აღნიშნა, რომ ხელისუფლებას რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს და არ შეიძლება ხელისუფლება დაინტერესებული იყოს ცუდი ურთიერთობით.

– დაინტერესებულები ვართ რუსეთთან ეკონომიკური, კულტურული, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობით. კავკასიაში სტაბილურობისთვის რუსეთთან შეგვიძლია ვითანამშრომლოთ იმ პირობით, თუ ეს არის ურთიერთობა ორ თანასწორ სახელმწიფოს შორის, – განაცხადა ბაქრაძემ და აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან სახელმწიფო აგრესიის განხორციელების რისკი დღეს გაცილებით დაბალია.

ბაქრაძე შეეხო, ასევე, ეკონომიკურ კრიზისს. მისი განცხადებით, ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება დღეს სახელმწიფო საფუძვლების შენარჩუნებას ნიშნავს.

რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, ამ თემაზე საუბარი დავით ბაქრაძემ ... ჟურნალისტებს დარბაზი დაეტოვებინათ.

### რათა მედიას ცენზურა არ დაუწესონ

„კონსერვატიული პარტია" კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს თავისუფალი მედიის ცენზურად აფასებენ.

ამის შესახებ პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი ინფორმაციით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" ხელისუფლების დაკვეთით საგანგებოდ 9 აპრილისთვის შეიქმნა, რათა ხელისუფლებამ შეძლოს, კრიტიკულ მომენტში შეაფერხოს მისთვის არასასურველი ტელეარხის მუშაობა.

ეს კოდექსი არის ნორმატიული აქტი და მისი შესრულება სავალდებულოა, შესაბამისად, მისი მიღება არის სააკაშვილის რეჟიმის მორიგი მცდელობა, საქართველოში მედიაზე დააწესოს პირდაპირი ცენზურა, – მიიჩნევს ჩხარტიშვილი.

მისივე განცხადებით, დოკუმენტში არის ბევრი ისეთი მუხლი, რომელიც პირდაპირ ზღუდავს დამოუკიდებელ მედიას. მაგალითისთვის მან მოიყვანა კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ინტერაქტივის დროს პირდაპირ ეთერში შემოსული სატელეფონო ზარები უნდა დაბალანსდეს. ეს ფაქტი ჩხარტიშვილმა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად შეაფასა.

### ალიანსი საშტაბო რეჟიმზე გადადის

„ალიანსი საქართველოსთვის" თელავის რაიონული ორგანიზაცია საშტაბო მუშაობის რეჟიმზე გადავიდა.

შტაბის ხელმძღვანელად თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ჭონიშვილი დაინიშნა. პლებისციტი თელავში გუშინ დაიწყო და გამოკითხვა „კარდაკარის" პრინციპით ჩატარდება.

თელავის რაიონის მასშტაბით „ალიანსის" აქტივისტები ხელმოწერების შეგროვების მიზნით ყველა ოჯახს შემოივლიან. გამოკითხვის პარალელურად შემოვლის დროს დაგეგმილია „ალიანსის" საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

ინტერპრესნიუსი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი აფხაზეთისთვის იხსნება

**აფხაზეთის მცხოვრებლები მიიღებენ შესაძლებლობას, იმოგზაურონ ევროკავშირის ქვეყნებში უფრო მსუბუქი რეჟიმით, ვიდრე ამჟამად. მომავალი ცვლილებების შესახებ რესპუბლიკაში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ ისაუბრა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ.**

დიპლომატი აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს განიხილავდა აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკაში ჰუმანიტარული პროექტების რეალიზაციასთან, მოძრაობის აღდგენასთან საქართველოს მიმართულებით და უკან მდინარე ენგურის გავლით, აგრეთვე მოისმინა ნაკლებად სასიამოვნო საყვედურები პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშისგან.

აფხაზეთის მცხოვრებთა გამგზავრება უცხოეთში, რუსეთს გარდა, ამჟამად მეტად გართულებულია. სიტუაცია ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება. რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ამ დღეებში აღნიშნავდა, თუ როგორ ცდილობდა თავად შეეგროვებინა სახსრები და დახმარებოდა ერთ ოჯახს, გაეყვანა ავადმყოფი ბავშვი, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა, გერმანიაში. „არაფერი არ გამოვიდა", — ვერ მალავდა თავის ემოციებს აფხაზეთის ლიდერი.

ამ ყველაფრის მოსმენა მოუწია პიტერ სემნებისაც. და მხოლოდ დისკრიმინაციული ისტორიის მოყოლით როდი შემოიფარგლა ბაღაფში. მან სტუმარს განუცხადა, რომ „სოხუმი სწავლობს ჟენევის კონსულტაციებში მონაწილეობის მიზანშეწონილობას. ჩვენ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით ამ პროცესის უპერსპექტივობაში... რატომაა, რომ კოსოვოს, ჩრდილოეთ კვიპროსის, ტაივანის მცხოვრებლები არ არიან შეზღუდული გადაადგილებებში, ჩვენ კი აფხაზეთის მცხოვრებლებს ასეთი უფლება არ გაგვაჩნია?" — განაცხადა ბაღაფშმა. მისი სიტყვებით, ევროკავშირი არ არის ნეიტრალური შუამავალი, მაგრამ გამოდის საქართველოს მხარეზე. „ასეთი დამოკიდებულებით აფხაზი ხალხი არ დაიღუპება", — განაცხადა პრეზიდენტმა.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ პიტერ სემნებიმ კონკრეტული დაპირებები არ მოგვცა, მაგრამ არის იმედი, რომ პრობლემა მოიხსნება. მისი სიტყვებით, უცხოეთში გასამგზავრებლად აფხაზეთის მოქალაქეებს, როგორც ამჟამად, მოუწევთ გამოიყენონ რუსეთის პასპორტები, ვინაიდან ევროპა ჯერ არ აპირებს აღიაროს ჩვენი რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რაც „სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისგან", აღნიშნა ს.შამბამ.

საქართველოს სახელმწიფოს მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ევროკავშირის აფხაზეთთან სავიზო ურთიერთობათა სასწრაფო ლიბერალიზაციას განმარტავს ცოტა სხვაგვარად. „მზადდება სამართლებრივი ბაზა სავიზო რეჟიმის არსებითი შემსუბუქებისთვის ევროკავშირის სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის. ევროპა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, ამიტომ ახალი რეჟიმი გავრცელდება ამ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზეც". მისი სიტყვებით ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნება პიტერ სემნებისთან შეხვედრის დროს თბილისშიც.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ




## დედამიწის ზურგზე

**ინდოეთში მეცნიერებმა დაამუშავეს იაფი ხელოვნური გული ტარაკანის საფუძველზე**

ამჟამად მიმდინარეობს ახალი მექანიზმის გამოცდა ბაყაყზე — იგი გარედან იწოვს სისხლს. როგორც ვარაუდობენ, 2009 წლის მაისში გულს გადაუნერგავენ თხას. უკვე სამი წლის შემდეგ შეიძლება მისი გადანერგვა ადამიანისთვისაც. გული სულ რაღაც 2000 დოლარი ღირს.

**იაპონია ემუქრება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სანქციების გამკაცრებით, თუ ფხენიანი გაუშვებს რაკეტას**

ტოკიო აფრთხილებს, რომ მისი მოქმედება არ იქნება დამოკიდებული სხვა ქვეყნების პოზიციაზე. თუ რაკეტა წამოვა იაპონიის ტერიტორიისკენ, მას ჩამოაგდებენ. 4-დან 8 აპრილამდე პერიოდში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას განზრახული აქვს, ორბიტაზე გაუშვას კავშირგაბმულობის თანამგზავრი. ვარაუდობენ, რომ ეს გაშვება იქნება მძლავრი ბალისტიკური რაკეტის გამოცდა.

**ბარაკ ობამა გამოუშვებს წიგნს ბავშვებისთვის: კონტრაქტი 500 ათას დოლარზე უკვე დადებულია**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წიგნის გამოცემაზე კონტრაქტი დადო 2009 წლის 15 იანვარს — ინაუგურაციამდე 5 დღით ადრე. როგორც ცნობილი გახდა, პროექტი იქნება 1995 წელს დაწერილი მისი მემუარების წიგნის — „მამაჩემის ოცნებები" — შემცირებული და ადაპტირებული ვარიანტი ბავშვებისთვის. წიგნი ბესტსელერად იქცა.

◉ ექსკლუზივი

*პუტინის ხელისუფლების აქტიური კრიტიკოსი, ოპოზიციური მოძრაობა „სოლიდარნოსტის" თანათავმჯდომარე ბორის ნემცოვი სოჭის მერის არჩევნებში მონაწილეობს. ნემცოვის სპეციალურმა გამოკვლევამ პუტინის მიერ „გაზპრომის" თანხების მისაკუთრეების სქემების შესახებ, რუსულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.*

*კრემლის მიერ „მემარჯვენე ძალთა კავშირის" დაშლის შემდეგ, ნემცოვმა სხვა მისი ყოფილი თანამოაზრეებისგან განსხვავებით პოლიტიკაში მონაწილეობისთვის კრემლის პირობები არ მიიღო და დამოუკიდებლად დაიწყო მედვედევ-პუტინის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა.*

*რუსეთში არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივაზე „ინტერპრესნიუსი" ბორის ნემცოვს ესაუბრა.*



# ბორის ნემცოვი: თუ კრიზისი წელიწადნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა, პუტინის რეჟიმი ვერ გაუძლებს

**— ბატონო ბორის, თქვენი პოლიტიკური აქტიურობიდან გამომდინარე ბევრი ვარაუდობდა, რომ თქვენი გზა კრემლისკენ ან მოსკოვის „თეთრი სახლისკენ" უნდა ყოფილიყო. რატომ გადაწყვიტეთ სოჭის მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღება?**

— სოჭის მცხოვრებლებმა თხოვნით მომმართეს, მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში და მეც დავთანხმდი. სიმართლე გითხრად, სოჭელების თხოვნა ჩემთვის მოულოდნელობა იყო, მაგრამ გადავწყვიტე, ხალხისთვის უარი არ მეთქვა. კარგად ვიცი პუტინის რუსეთში არჩევნების არსიც და ფასიც, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა მაინც გადავწყვიტე.

ჩემთვის ეს ერთგვარი გამოწვევაა, ვებრძოლო რუსეთში არსებულ საარჩევნო სისტემას, კორუფციას, სოჭელი ჩინოვნიკების ქედმაღლობას, რომლებიც კრემლთან ძალიან დაახლოებულნი არიან. ვგრძნობ, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკებისთვის და კრემლისთვის მე სოჭის მერობის ყველაზე უხერხული კანდიდატი ვარ.

სოჭი დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად უამრავი პრობლემა აწუხებთ სოჭელებს. მათ უკანონოდ ასახლებენ, ავიწროებენ, გარდა ამისა ნაღვურდება ნაკრძალები და უამრავი ეკოლოგიური პრობლემაა. მიუხედავად ამისა, თავისი მნიშვნელობით სოჭი რუსეთის მეორე ქალაქია. უნდა გვესმოდეს, რომ საქმე ქალაქის მასშტაბებში არაა. სოჭში დღეს საფუძველი ეყრება რუსეთის დემოკრატიულ პერსპექტივას. სოჭი არა მარტო კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი ქალაქია, ახლა სწორედ მასზე გადის თანამედროვე რუსეთის პერსპექტივის გზა.

**— როგორ შეაფასებდით რუსეთში დღეს არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას და, თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს მედვედევ-პუტინის ტანდემი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას და ხელისუფლების შენარჩუნებას?**

— რუსეთი ეკონომიკურ კრიზისს იმაზე გაცილებით მეტად განიცდის, ვიდრე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები. პირველ რიგში ასე იმიტომ ხდება, რომ რუსეთისთვის სამარცხვინოდ, იგი ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნად იქცა. სხვათა შორის, პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთი მსოფლიოსთვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად კიდევ უფრო მეტად იქცა.

რუსეთის 2008 წლის ბიუჯეტის 65 პროცენტი დამოკიდებული იყო გაზისა და ნავთობის ექსპორტზე. ენერგომატარებლებზე ფასის 4-ჯერ შემცირება ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა რუსეთის ეკონომიკისთვის. პუტინის რუსეთი ეკონომიკურ კრიზისს მოუმზადებელი იმის გამო შეხვდა, რომ რუსეთის ეკონომიკა ხელისუფლების მიერაა მონოპოლიზებული და კორუმპირებულია. რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 10 პროცენტით შემცირდა, ხელისუფლებას სოციალური ფონდის მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა, ვალები დაუგროვდათ „გაზპრომსა" და „როსტნეფტს" და კრემლის მიერ კონტროლირებად სხვა ეკონომიკურ სტრუქტურებს.

ჩემი პროგნოზი ასეთია — თუ კრიზისი წელიწადნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა (ექსპერტები კი თვლიან რომ ეს კრიზისი გრძელვადიანია), პუტინის რეჟიმი ვერ გაუძლებს და ქვეყანა იძულებული იქნება, შეიცვალოს. რუსეთში საპროტესტო ტალღა იზრდება, სოციალური დაძაბულობა მატულობს რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში, აღმოსავლეთ ციმბირში, წლის ბოლოსათვის რუსეთში 10 მილიონ ადამიანზე მეტი უმუშევარი იქნება, ამას ემატება რუბლის ინფლაცია. ამ ფონზე ხელისუფლება იძულებული გახდა, ფასი მოემატებინა გაზსა და ნავთობზე.

ნათელია, რომ რუსეთი ვარდნის, სოციალური პროტესტების რეჟიმში შედის და უდავოა, რომ ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

**— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია. როგორ აფასებთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივას?**

— ვთვლი, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მედვედევისა და პუტინის ყველაზე გრძელვადიანი და დიდი შეცდომა იყო. საქმე ის სულაც არ არის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ნიკარაგუასა და ხამასის გარდა არავის უღიარებია. ეს გადაწყვეტილება თავად რუსეთისათვის აღმოჩნდება ნაღმი. დღეისათვის მედვედევ-პუტინის რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს — დაღესტანს, ყაბარდო-ბალკარეთს, ჩეჩნეთს ფულით აკავებს. ისინი 90 პროცენტით მოსკოვის დაფინანსებაზე არიან დამოკიდებული. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ფინანსები აკლდება, რეგიონები მოსკოვისაგან წელს 45 მილიარდი აშშ დოლარით ნაკლებს მიიღებენ.

ნათელია, რომ ამ ფონზე ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობები გაჩნდება. კადიროველების გარდა სხვებიც იტყვიან — რითი ვართ ჩვენ აფხაზებზე ან სამხრეთ ოსეთელ ოსებზე ნაკლები, ჩვენც გვინდა დამოუკიდებლობაო. ამიტომ ვამბობ, რომ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის დიდი შეცდომა იყო.

რუსეთს ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში მოუწევს ამ ტერიტორიების დაფინანსება და გამოკვება. და ეს მაშინ, როცა მას ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემა აქვს. გარდა ამისა, ამ აღიარებით რუსეთი მთელ მსოფლიოსთან, განსაკუთრებით ევროპასთან და აშშ-სთან კონფრონტაციაში შევიდა. ჩვენ საერთოდაც, და განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის დროს, ყველასთან კარგი ურთიერთობები უნდა გვქონდეს. და ბოლოს, მოძმე ქართველი ხალხი მტერი აღმოჩნდა და ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით ჩვენს ხალხებს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაიზარდა. სააკაშვილიც კარგი ვინმეა, მაგრამ რუსულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების კოშმარად გადაქცევაც არასწორია.

რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე მე მოსკოვსა და თბილისში არაპოპულარული მოსაზრება მაქვს. არ ვიცი დაბეჭდავთ თუ არა და ღირს თუ არა თქმა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი — ვიდრე სააკაშვილი და პუტინი პოლიტიკიდან არ წავლენ, ჩვენ არც მოსვენება გვექნება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებშიც არაფერი შეიცვლება. მე ზუსტად ვიცი, რომ ამ ადამიანებს ერთად არა თუ რაიმეს გაკეთება, ერთმანეთთან ნორმალურად ურთიერთობა და საუბარიც არ შეუძლიათ. ვიდრე მოსკოვსა და თბილისს შორის არ იქნება მინიმალური ნდობა, პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება.

ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი ანტირუსული აქცია იყო.

**— ბატონო ბორის, მას შემდეგ რაც თქვენ სოჭის მერის თანამდებობაზე არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეთ, აქტიურად ხვდებით სოჭელებს და მოძრაობთ სოჭის შემოგარენში, სოჭიდან კი რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე არც ისე დიდი მანძილია... თუ ხართ საქმის კურსში, რა ხდება რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე?**

— ჯერ საზღვრამდე არ ჩავსულვარ. რამდენადაც სოჭში აფხაზეთიდან ჩამოსულებიდან ვიცი, რომლებიც სოჭში საყიდლებზე ჩამოდიან, საზღვარზე რაიმე კატასტროფული არაფერი ხდება. ადამიანები საზღვარს პასპორტებით გადაკვეთენ, სოჭში აფხაზეთიდან გადმოსულებსაც და იქედან დევნილებსაც ბევრს ვხვდები, რაიმე სერიოზული რომ იყოს, გარწმუნებთ მეცოდინებოდა. სრული შთაბეჭდილება და ინფორმაცია მას შემდეგ მექნება, როცა საზღვართან თავად გავალ, გპირდებით, ამას უახლოეს მომავალში გავაკეთებ და მოგახსენებთ.

**— ინტერვიუსთვის მადლობას გიხდით და არჩევნებში წარმატებებს გისურვებთ.**

— მადლობა. არჩევნებში გამარჯვება შეიძლება თუ ხელისუფლებამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციაში გატარებაში ხელი არ შემიშალა. ხელისუფლება მიხვდა, რომ თუ რეგისტრაციაში გავტარდი, მე არჩევნების მოგება შემიძლია. პუტინის ხელისუფლებისგან გამორიცხული არაფერია, ასე რომ, ვნახოთ რა იქნება.

**კობა ბენდელიანი**

◉ კვალი დროში

*2009 წელი ნუგზარ შატაიძისთვის სიცოცხლის ბოლო წელიწადი გამოდგა. მან სულ 65 წელიწადი იცხოვრა ამ უბარაქო წუთისოფელში, რომელსაც თავად წამისოფელს ეძახდა, მაგრამ მაინც იმდენის შექმნა მოასწრო, რომ მკითხველის სამუდამო თანამგზავრ მწერლად დარჩა, რაც არცთუ ბევრი კალმოსნის ხვედრია ჩვენს ხუთსაუკუნოვან მწერლობაში.*

*დღეს მეორმოცედ გათენდა, რაც ნუგზარ შატაიძემ თავისავით ქართულ სიტყვასთან შეფიცან ჭიდილში დაღლილ, პიროფლიან ქართველთა გვერდით მიიჩინა ალალად მოღვაწებული მარადიული ბინა-საძვალე დიდუბის პანთეონში.*

*ერთ-ერთ ბოლოდროინდელ, უთუოდ გულის შემძვრელ, სიმბოლურ მოთხრობაში („გაბო“), რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მწერალი თითქოს თვითონვეა თავისივე პერსონაჟი სიცოცხლესთან გაყრის წინა ჟამს.*

**გურამ გოგიაშვილი**

## ნუგზარ შატაიძე

# UF,J

მოთხრობა

წვიმამ გადაიღო, გუშინდელი ღრუბელი ქარმა აკრიფა და აღმოსავლეთისკენ წაიღო. დილით ის ქარიც ჩადგა. მზემ სათონის კედელი გაათბო. გაბომ შინიდან სკამი გამოიტანა, დაიდგა და ზედ კვნესით დაჯდა. შინ მარტო იყო, ბიჭი ქალაქს წავიდა, ცოლი — ვენახში. იჯდა და დაღონებული, ნატანჯი სახით დასჩერებოდა წვიმის წყლისაგან გათქვარულ მიწას.

მთელი ღამე არ დააძინა გულმა, მთელი ღამე სიკვდილზე აფიქრა. ახლა იჯდა და უყურებდა, როგორ მიიკვლევდა ტალახში გზას შემოდგომის დაბუხული ჭიაყელა, როგორ მიიყოლებდა უკან გრძელ ნაკვალევს.

კაკალს ნაყოფი სცვიოდა და გაბოს ესმოდა წენგოშემომსკდარი, გაკროლილი კაკლების სველ მიწაზე დაცემის ხმა. ეს ხმები და შემოდგომის თბილი, ალერსიანი მზე ამშვიდებდა, თითქოს სადარდებელსაც ავიწყებდა.

წუხელ, ვინ იცის, რამდენჯერ გამოიტირა საკუთარი თავი. წარმოიდგინა, როგორ იწვა კუბოში, როგორ უვლიდნენ გარშემო ნათესავები, ახლობლები, მთელი სოფელი. ცოლი, რასაკვირველია, ტიროდა, წვერმოშვებული ბიჭი კარებში იდგა და სამძიმარზე მოსულ ხალხს ხელს ართმევდა. გაბოს ძალიან ეცოდებოდა საკუთარი თავი, ისე ეცოდებოდა, რომ ზოგჯერ მტკივანი გულიც კი უამდებოდა ხოლმე. ჩუმად ტიროდა და ბალიშს ასველებდა ცრემლით. მერე წარმოიდგენდა, როგორ ასწევდნენ, როგორ დაატრიალებდნენ კარმიხურულ სახლში სამჯერ, როგორ დააჯახებდნენ იმ მიხურულ კარზე კუბოს, რანაირად ჩაიტანდნენ ეზოში, რანაირად დაასვენებდნენ საგანგებოდ დადგმულ სკამებზე და როგორი წიოკი შეუდგებოდათ ქალებს.

ამ წიოკზე იყო, რომ აუჩუყდებოდა ისევ გული და წამოუვიდოდა დახუჭული თვალებიდან ცრემლი. ტიროდა, ტიროდა... მერე, რაკიღა იმ ტირილზე ტკივილიც გაუყუჩდებოდა, გადაიტანდა ფიქრს სხვაგან: სახლუკან, ცეცხლზე შემოდგმულ დიდ ქვაბებში თეთრწინსაფრიანი გოგია ხარშავდა შილაფლავსა და ხაშლამას. სახელდახელოდ ტაბლასთან დალაქს, კვნიწსა და ვირაბრამას ღვინით გაპიპინებული ჭიქები ეჭირათ ხელში და ჩუმად, უხმოდ აკანტურებდნენ თავებს. ზოგჯერ გოგიასაც გაუვსებდნენ, იქვე, ქვაბებთანვე მიუტანდნენ. ნათელში ამყოფოსო და სვამდა ისიც, ჭიქაში ჩარჩენილ, ქინქლაჩავარდნილ ნაწუნწკალს ცეცხლში აქცევდა და შიშინებდა შავი მუგუზალი, ბოლავდა...

ამის წარმოდგენაზე ასტკივდებოდა ისევ გული, გაებერებოდა, გაებერებოდა, თითქოს ეგ არის, უნდა გაუსკდესო და გაბოც გაჰყვებოდა ფიქრით ისევ საკუთარ კუბოს. უყურებდა, როგორ მიჰქონდათ, როგორ მიაქანავებდნენ იმ ქარში, წვიმაში, როგორ აიტანდნენ და დაასვენებდნენ გორაზე, ციხის ნახევრად დანგრეულ კედელთან გაქრილი სამარის პირზე. წვიმდა. ხალხი აბუზული იდგა. ერთი სული ჰქონდათ, როდის წავიდოდნენ აქედან, როდის შემოუსხდებოდნენ ქელეხის სუფრას.

მერე წარმოიდგენდა, რანაირად უშვებდნენ საფლავში, როგორ აყრიდნენ ზემოდან მიწას და ამოუჯდებოდა ისევ გული, წამოუვიდოდა ცრემლი, უამდებოდა ტკივილიც.

მთელი ღამე ეგრე იტანჯა. დილით, მამლის ყივილზეღა ჩაეძინა და როცა ადგა, შინ აღარავინ დაუხვდა. გამოიტანა სკამი და სათონის მზით განათებულ კედელთან დაჯდა. კაკალს მოწეული ნაყოფი სცვიოდა. ჭიაყელა ბოსტნის ღობის ძირში მიძვრებოდა და თანდათან თვალს ეფარებოდა. შემოდგომის მზე გაბოს ძვლებს უთბობდა.

ამის შემდეგ გავიდა ერთი წელი და მეორე შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში, გაბო მართლაც მოკვდა. მოკვდა ჩუმად, უწვალებლად, როგორც შინაურები ამბობდნენ — ძილში გაიპარა. ყველაფერმა სწორედ ისე ჩაიარა, როგორც გაბოს ჰქონდა წარმოდგენილი: კუბო შუა ოთახში ესვენა, გაბოს ბიჭი კარებში იდგა და სამძიმარზე მოსულ ხალხს ხელს ართმევდა. ცოლი ტიროდა. სახლუკან, ცეცხლზე შემოდგმულ დიდ ქვაბებში მართლა იხარშებოდა ფლავი და ხაშლამა. იმ ქვაბებთან თეთრწინსაფრიანი გოგია ტრიალებდა ქაფქირით ხელში. სახელდახელო სუფრასთან დალაქს, კვნიწს და ვირაბრამას ღვინით სავსე ჭიქები ეჭირათ და უხმოდ სვამდნენ. ზოგჯერ გოგიასაც აწოდებდნენ ჭიქას.



გასვენების დრომ რომ მოატანა, ქალები ოთახიდან გაიკრიფნენ, კაცებმა კუბო ასწიეს, კარმიხურულ ოთახში სამჯერ დაატრიალეს, და მერე იმ მიხურულ კარსაც სამჯერ დააჯახეს. ამ ხმის გაგონებაზე გაბოს ცოლმა გარეთ კივილი მორთო. ჩაიტანეს ეზოში და კუბო ორ ტაბურეტზე დადგეს. გაბოს ცოლმა მოთქმით იტირა. იტირეს სხვებმაც — მამიდაშვილებმა და მეზობლის ქალებმა. მერე, რაკიღა მართლა წვიმდა, მალევე ასწიეს და წაიღეს. გაატარეს სოფელი, წვალებით აიტანეს გორაზე და ციხის კედელთან გაჭრილი სამარის პირზე დაასვენეს. ხალხი მართლაც აბუზული იდგა იმ ქარში, წვიმაში, ერთი სული ჰქონდათ, როდის წავიდოდნენ აქედან. ბოლოს, კუბო საფლავში ჩაუშვეს, ზემოდან სველი, ყვითელი მიწა დააყარეს, კარგად მოუსწორეს. კაცებმა თან წამოღებული საღვინიდან თითო ჭიქა დალიეს და წავიდნენ...

ნეტავ თუ რამეს გრძნობდა იმ დროს საწყალი გაბო?

# ფიქრებში გამომახება...

გუშინწინ საღამოს შვილიშვილი მეძახის, ბაბუ, ბაბუ, მოდი, რადიოში ნუგზარ შატაიძეა. სამუშაოსგან თავგაბრუებულმა უცებ ვერ გავაცნობიერე, რა მითხრა ბავშვმა. კარი ღია დარჩენოდა და... ჩვენი ნუგოს ხმა! კი, ნამდვილად ის არის, ისე სიყვარულით, თბილად საუბრობდა... იმავ წუთს ტელეფონს ვეცი, გუჯას დავურეკე, რადიოს პირველ არხზე ნუგოა-მეთქი. ორივემ ბოლოსღა მივუსწარით. ჩვენებსაც გვიან ჩაერთოთ რადიო და ვერ გავიგეთ, რადიოპიესის ნაწყვეტი იყო თუ თავის რომელიღაც მოთხრობის ნაწყვეტს კითხულობდა. პურის, მარცვლეულის მოვლა-შენახვის წესზე ლაპარაკობდა, ფოლკლორზე ლაპარაკობდა... არა, ვტყუი, ვერ გავიგე, ვერ მოვისმინე, აზრი ვერ გამოვიტანე, მხოლოდ ნუგოს ხმას ვუსმენდი ხარბად, იმ ხმას, რომელსაც ათასში გამოვარჩევ, ასე სიყვარულით, ასე მოფერებით, ასე ფაქიზად არავისგან მომისმენია პურისა თუ ვაზის ისტორია თუ მათი მოვლის წესი.

ზალიკო სამადაშვილმა დაწერა, ნუგზარი ჩემი მწერალიაო. უცებ გამახსენდა ოჯახის ექიმის ინსტიტუტი. ჩვენი ნუგოს მოთხრობები, მინიატიურები იმ ოჯახის ექიმის გამოწერილი წამლებივითაა, და კიდევ, ეკლესიასავითაა... სხეულს რომ გაგიჯანსაღებს, სულს რომ დაგიწმინდავს. არა, მაინც როგორ დამასწრო! ნუგო ხომ ჩემი მწერალია! ეს გავიფიქრე და გამეცინა, მარტო მე კი არა, ზალიკომ ყველას დაგვასწრო-მეთქი, ნუგზარ შატაიძე ხომ ბევრის მწერალია, ბევრის ექიმია, ბევრის ტაძარია, განსაკუთრებით მისი მეგობრების, ახლობლების. ჩვენ ხომ ჩვეულებრივ მკითხველზე უფრო მომგებიან მდგომარეობაში ვართ. ჩვენ ცოცხლად გვინახავს ჩვენი მწერალი, მასთან ბევრი რამ გვაკავშირებს, მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ.

გალაკტიონზე ერთი პატარა მოგონება მაქვს, პატარა ბავშვი უცებ რომ შევეფეთე ამ ღმერთკაცს. ეს რომ ნუგომ წაიკითხა, თავისებურად, ნაღვლიანად ჩაიცინა, მეცა მაქვს ეგრეთი მოგონება გალაკტიონზე, მეც შენი ხნისა ვიყავი, პირველად მამაჩემმა რომ დამანახაო. მერე ეს მოგონება მშვენიერ მოთხრობაში შეიტანა, „ტრამვაი №7“.

არა, მართლაც ბედნიერები ვართ, ნუგოსთან უამრავი მოგონება რომ გვაკავშირებს. ოცდათხუთმეტი, არა, მეტი, წელია ერთად მოვდივართ ამ ცოდვიან მიწაზე და თუ ვინმე მილამაზებდა და მიმსუბუქებდა ამ ყოფასა თუ ცხოვრებას, ერთი იმათგანი, ერთ-ერთი უპირველესი ნუგო იყო, ჩვენი ნუგო შატაიძე.

მარტის დასაწყისში მითხრა ბატონმა გურამ გოგიაშვილმა, ნუგზარის ორმოცისთვის დამიწერე რამეო, გუშინდლამდე ვერ მოვახერხე, გულით კი მინდოდა, მოვფერებოდი, მაგრამ ვერ დავჯექი საწერად. ძალიან ძნელია, ძალიან მძიმეა ნუგოს ფიქრებში გამოძახება, როცა გუშინ ჩვენთან იყო, გვეფერებოდა, გვაიმედებდა... გვაიმედებდა თავისი არსებობით, თავისი ამქვეყნად ყოფნით... ახლა კი ისიც მოგონებად იქცა. აი, ამის გააზრებაა ძალიან მძიმე...

**დავით ჭელიძე**

◉ მედიცინა

# აქ სიცოცხლეს მსახურებენ

**„დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში უმაღლეს პროფესიონალთა და წმინდა ადამიანური გრძნობების მატარებელ ადამიანთა შეკრული კოლექტივი, როგორიც დღეს უროლოგიურ განყოფილებაშია, ეს არის ნიმუში იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მომავალს შეგვიძლია იმედიანად ვუყუროთ. ქცევის ეს ნორმები წესად უნდა იქცეს ყველასთვის, ვინც ავადმყოფებს და მედიცინის სფეროს ემსახურება“ — ეს სიტყვები პაციენტმა ჯიმშერ სხირტლაძემ შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერა და გაეწერა. წიგნში კიდევ ბევრი კმაყოფილების გამომხატველი ემოციებია გადმოცემული.**



გურამ ქარაზანაშვილი



თიკო ყიფიანი

სამახსოვრო წიგნი ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის (ყოფილი „ლეჩკომბინატის“) უროლოგიურ კლინიკას. მას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ქარაზანაშვილი** ხელმძღვანელობს, რომელიც ორი ათეული წელი საზღვარგარეთ მოღვაწეობდა: რუსეთში, ჰოლანდიაში, შვედეთში, გერმანიაში. სწორედ გერმანიაში აიღო უროლოგიის ლიცენზია და 2006 წელს საქართველოში დაბრუნდა.

ბატონი გურამი უზადო პროფესიონალიზმით აკეთებს ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს და არა მარტო ოპერაციებს. დისტანციური ლიტოტრიპტორის „Medispec-3000“-ით უპერაციოდ კურნავს შარდკენჭოვან დაავადებებს. ატარებს ყველა ტიპის ქირურგიულ ჩარევას საშარდე და სასქესო სისტემაზე მოზრდილებში, ქალებში და ბავშვებში, ეს იქნება: შარდკენჭოვანი დაავადებები, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზა, პროსტატის კიბო, ენდოუროლოგია, ბავშვთა თანდაყოლილი ანომალიები და ა.შ.

„ლეჩკომბინატის“ უროლოგიურ განყოფილებას მჭიდრო კონტაქტი აქვს უცხოეთის კლინიკებთან, ამიტომ აქ პერიოდულად მსოფლიოში აღიარებული უროლოგებიც ატარებენ ოპერაციებს.

მნიშვნელოვანია, დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი ეტაპის გავლა, რომელსაც უროლოგი **თიკო ყიფიანი** ატარებს. დიაგნოსტიკური აპარატის — უროფლოუმეტრის გამოკვლევები უზუსტესია საქართველოში. ქალბატონი თიკო უკვე 8 წელიწადია დანიური აპარატით მუშაობს, რომელიც ერთ-ერთი უახლესი და მსოფლიოში აპრობირებული აპარატია. უროდინალური კვლევა შარდის ნაკადის სიჩქარესა და დენადობას ადგენს. პროცესი აბსოლუტურად მარტივია და პაციენტს 10-15 წუთში უკვე ანალიზის უზუსტესი პასუხი ხელთა აქვს.

ექიმ თიკო ყიფიანის გაგზავნილი პაციენტები უკვე კლინიკაში ხვდებიან. ფირმის დირექტორი **ნათია კვარაცხელია** მომსახურების დეტალებზე გვესაუბრება:

— ვმუშაობთ „სერვის პლუსზე“, რადგან ჩვენთან მოსულ პაციენტებს ჯანმრთელობის პრობლემებთან ერთად ხშირად ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები აქვთ.

აბსოლუტურად ვუწევთ შეღავათებს პაციენტებს ფინანსებთან დაკავშირებით. სადაზღვევო კომპანიებთან ხელშეკრულებები გვაქვს დადებული, სოციალურად დაუცველი ფენებისთვის კი ვცდილობთ, ოპტიმალური გამოსავალი გამოვნახოთ. ოპერაციების ხარისხი მაღალია და გართულებები, რომელიც ინდივიდუალურია მედიცინაში, მინიმუმამდეა დაყვანილი.

როცა პროფესორ გურამ ქარაზანაშვილზე ჩამოვარდება სიტყვა, ექიმებიც და პაციენტებიც დიდი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობენ მასზე. ჩვენ ვერ გავიცანით, უცხოეთშია, მაგრამ გვითხრეს, თავმდაბალია და საკუთარ თავზე არასოდეს არ ლაპარაკობსო, სამაგიეროდ, პაციენტები არ იშურებენ მადლიერების სიტყვებს...

**ნია ფიფია**

რაგბი

# ახლა ტრავმები გვინდა?!



**ზეგ, მოგეხსენებათ, უკრაინის ქალაქი მარიუპოლი (ყოფილი ჟდანოვი) ევროპის ერთა თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩს მასპინძლობს: საქართველო — რუსეთი, რომელსაც ფრანგი მსაჯი დიდიე მენე გაუძღვება. ეს მის სპორტულ ცხოვრებაში უკანასკნელი შეხვედრაა და, ვიმედოვნებთ, კარიერას ღირსეულად დაასრულებს.**

იგი მთლიანად კომბინაციების დახვეწას დაეთმო — ტიმ ლეინმა შეგირდები სწრაფ კონტრშეტევებზე „დაგეშა“. „მარიუპოლში აქცენტს სწრაფ და კომბინაციურ თამაშზე გავაკეთებთ. დაცვაში მჭიდრო მეურვეობა და აგრესიული იერიშები — აი, ჩვენი ტაქტიკური მონახაზი, რომელსაც, მჯერა, სარბიელზე განვახორციელებთ. მართალია, ძლიერ მეტოქესთან გველის ბრძოლა, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. „ბორჯღალოსნები“ წლეულს მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს და ეს ტენდენცია უკრაინაშიც უნდა განვავრძოთ“, — ეს უკვე ჩვენი გუნდის ავსტრალიელი თავკაცის მრავლისმთქმელი სიტყვებია.


ასე დაშავდა კვირიკაშვილი

„დიდიე მენე კორექტული თამაშის მოყვარული მსაჯია და საკმაოდ სამართლიანიც. 2006 წელს, „კლერმონში“ თამაშისას, ფინალი სწორედ მან გვიმსაჯა“, — განაცხადა არბიტრთან დაკავშირებით ფრანგულ კლუბებში გამობრძმედილმა გოდერძი შველიძემ ვაკის სტადიონზე „ბორჯღალოსანთა“ მიერ გამართული ბოლო ვარჯიშის შემდეგ.

თითქოს საზრუნავი აკლდეთ, საქმე საქართველოს ნაკრების ექიმებსაც მოემატათ. ყველაზე უფრო საგანგაშოდ მერაბ კვირიკაშვილის ტრავმა გამოიყურება, რომელსაც კოჭი გადაუბრუნდა და პარტნიორთა ოფლისღვრას მოედნის კიდიდან ყინულდადებული ადევნებდა თვალს. „ტკივილი მაწუხებს და, ალბათ, შემდეგ ვარჯიშსაც გავაცდენ, მაგრამ, იმედია, თამაშამდე გამოჯანმრთელებას მაინც მოვასწრებ. წინ უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და მასში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მივიღო“, — ამშვიდებდა გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს ჩვენებურთა სნაიპერი.

შედარებით ოპტიმისტურად შეგვიძლია ვიყოთ განწყობილნი კიდევ ერთი უკანახაზელის — მალხაზ ურჯუკაშვილის მდგომარეობის მიმართ, რომელმაც შტანგის აწევისას წელი იტკინა და მწვრთნელმა ხანმოკლე დასვენება „გამოუწერა“. რაც შეეხება დაშავებულ თედო ზიბზიბაძეს, იგი ირაკლი გიორგაძემ შეცვალა, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგინიძემ კი უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშა.

ორიოდ სიტყვაც არანაკლებ აქტუალურ თემას — რუსი „ბალელშჩიკების“ შესაძლო პროვოკაციებს შევაწიოთ. როცა მამუკა გორგოძეს უთხრეს — გავიგეთ, მარიუპოლში ჩასვლას და ტრიბუნებზე დებოშის ატეხვას ჩრდილოელი ულტრასები აპირებენო, გასული წლის საუკეთესო ქართველმა მორაგბემ ასე მოსწრებულად უპასუხა: თუ უნდათ, სკინჰედები მოედანზეც ჩამოვიდნენ, ყველას ერთად მოვუგებთო.

დაბოლოს, ერთი ფაქტიც: თანამემამულეთა ვარჯიშს ადგილობრივი ტელევიზიების ოპერატორებთან ერთად ორი უცხოელი ჯგუფი აშუქებდა. ესენი არიან ამერიკაში მცხოვრები პოლონელი რეჟისორი ლეხ კოვალსკი, რომელიც ქართულ რაგბიზე დოკუმენტურ ფილმს იღებს და ფრანგული „კანალ პლუსის“ წარმომადგენლები.

კალათბურთი

# ჯორჯიელთა აღზევება

**ბარაქიანი სეზონი გვაქვსო, ზაზა ფაჩულიამ და მისმა პარტნიორებმა უნდა თქვან. მართლაც, რეგულარული ჩემპიონატის სტარტამდე „ატლანტა ჰოუქსის“ ფანატიკოსი ქომაგები საუკეთესო სიზმარში თუ ნახავდნენ იმ სატურნირო მდგომარეობას, ამჟამად რომ შეექმნათ მაიკ ვუდროფის შეგირდებს — ჯორჯიელები სამხრეთ აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილზე არიან, მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეოთხე პოზიცია უკავიათ.**



თუ გავითვალისწინებთ, რომ პლეიოფში თითოეული კონფერენციიდან რვა-რვა უძლიერესი კლუბი ითამაშებს, „ჯვაროსანთა“ კაპიტანს უკვე, შეგვიძლია, მივულოცოთ პროგრამა-მინიმუმის შესრულება.

ზედიზედ მეექვსე, სულ კი მეორმოცე გამარჯვება ატლანტელებმა საკუთარ დარბაზში გათამაშების უიმედო აუტსაიდერთან — „საკრამენტო კინგზთან“ მოიპოვეს — 119:97.

მართალია, ზაზა ამჯერად მხოლოდ 6 ქულით შეეწია პარტნიორებს, მაგრამ საგანგაშო ამ ფაქტში არაფერია — ვინაიდან ბრძოლის ბედი ეჭვს ოდნავადაც არ იწვევდა, მწვრთნელმა თავისი გუნდის ლიდერები მცირედით დატვირთა.

**გაეცანით სატურნირო ცხრილში შექმნილ ვითარებას:**

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

**ატლანტის დივიზიონი:** „ბოსტონი“ — 50, „ფილადელფია“ — 34, „ნიუ-იორკი“, „ნიუ ჯერსი“ — 28-28, „ტორონტო“ — 24 მოგება.

**ცენტრალური დივიზიონი.** „კლივლენდი“ — 54, „დეტროიტი“ — 33, „ჩიკაგო“, „მილუოკი“ — 31-31, „ინდიანა“ — 28 მოგება.

**სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონი.** „ორლანდო“ — 49, „ატლანტა“ — 40, „მაიამი“ — 36, „შარლოტი“ — 29, „ვაშინგტონი“ — 16 მოგება.

**დასავლეთი კონფერენცია**

**ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონი.** „დენვერი“ — 43, „პორტლენდი“, „იუტა“ — 42-42, „მინესოტა“ — 20, „ოკლაჰომა“ — 19 მოგება.

**წყნარი ოკეანის დივიზიონი.** „ლეიკერსი- — 53, „ფინიქსი“ — 36, „გოლდენ სტეიტი“ — 24, „კლიპერსი“ — 16, „საკრამენტო“ — 14 მოგება.

**სამხრეთ-დასავლეთი დივიზიონი.** „სან ანტონიო“ — 45, „ჰიუსტონი“ — 44, „ნიუ ორლეანი“, „დალასი“ — 41-41, „მემფისი“ — 17 მოგება.

ქორწილია, ქორწილი...

## უილიამსებს დედინაცვალი ეყოლებათ

**ცნობილი გახდა, რომ ახალი ცოლის შერთვას აპირებს სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელების — ვინუს და სერენა უილიამსების მამა რიჩარდი. მისი მომავალი საცოლე თითქმის დების თანატოლია.**

რიჩარდ უილიამსი 67 წლისაა. ის ჩოგბურთელების დედას შვიდი წლის წინათ გაეყარა. თანაც გაყრამდე სამი წლით ადრე ქალბატონმა საავადმყოფოს მიმართა საშინაო ცემის შედეგად სამი ნეკნის მოტეხილობით. მართალია, მაშინ პოლიციამ გამოიძია ეს შემთხვევა, მაგრამ არავინ დაუსჯია.

რიჩარდის ახალი საცოლე 30 წლის ლიკეიშა გრემია. ქორწილი ალბათ აპრილში გაიმართება. თავად რიჩარდის განცხადებით, მას ქალიშვილების თანხმობა სჭირდება, რათა დაქორწინდეს მასზე 37 წლით ახალგაზრდა ქალზე.

უნდა ითქვას, რომ უფროს ქალიშვილს, ვინუსს, ივნისში 29 წელი უსრულდება.



ინტერნეტიდან

## ბორაძოვების კარიერა დასრულდა



**ტოკიოს საოლქო სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი, რომლითაც დამტკიცდა სუმოს სრულიად იაპონიის ასოციაციის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება რუსეთელების სოსლან და ბატრაზ ბორაძოვების სამუდამო დისკვალიფიკაციის შესახებ, მიიჩნია რა ეს გადაწყვეტილება სრულად დასაბუთებულად.**

როგორც გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ წერს, ტოკიოს სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ პროფესიონალურ სუმოში ბორაძოვების კარიერა დასრულდა.

როგორც ცნობილია, ეს ისტორია დაიწყო 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ბორაძოვებსა და სოსლან გაგლოევს ბრალად დასდეს მარიხუანის მოხმარება და გავრცელება. ამიტომ მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯათ. სოსლან გოგლოევის საქმეს სასამართლო აპრილში განიხილავს.

სოსლან გაგლოევს თავის გამოცდა ძიუდოში უნდა და 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობასაც აპირებს.

## დამხობა... 9 წლის შემდეგ



**როგორც შეფილდიდან იტყობინებიან, ბრიტანეთის ეროვნულ ჩემპიონატზე 19 წლის მოცურავე ჰანა მაილიმ დაამხო ევროპის რეკორდი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.** მისი შედეგია 2.09.59 წუთი. ადრინდელი რეკორდი (2.10.68ძ ეკუთვნოდა უკრაინელ იანა კლოჩკოვას, რომელმაც ის 2000 წელს სიდნეის თამაშებზე დაამყარა.

## ბოლტი მანჩესტერში ირბენს

**სპრინტერულ სირბილში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი უსეინ ბოლტი თავის ევროპულ სეზონს 17 მაისს გახსნის მანჩესტერის ქუჩებში 150 მეტრზე საჩვენებელ სირბილით.**

ეს იქნება სპრინტერულ და გრძელ მანძილზე სირბილის დღესასწაული. ამ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მსოფლიო რეკორდსმენი მარათონში ჰაილე გებრესელასიე.



22 წლის ბოლტი აპირებს, მანჩესტერის სტარტი გამოიყენოს როგორც მოსამზადებელი IAAF-ის მსოფლიო მძლეოსნური ტურისთვის, ის კი ივნის-ივლისში გაიმართება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი გულშემატკივარი დაესწრება აგრეთვე საყვარელი გუნდის მატჩსაც „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონზე.

ამჟამად უსეინი ვარჯიშობს მშობლიურ იამაიკაზე — კინგსტონში. როგორც უკვე ვწერდით, იქ 100 მეტრზე აჩვენა 9,93 წამი. შემდეგ ის გაემგზავრება კანადაში, სადაც 11 ივნისს იასპარეზებს ტორონტოში. — იტყობინება მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ბიულეტენი „მთელი სპორტი“.

## ⊙ კაცმა ჭირი მალაო...

ხელისუფლება მუდამდღე გვიმტკიცებს, რომ საქართველო ალმავლობის გზაზე დგას და მისი იმიჯი სულ უფრო იზრდება, რომ ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში არა მხოლოდ ფინანსურ სტაბილურობას ინარჩუნებს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან მაღალ შეფასებასაც აძლევენ ჩვენს ქვეყანას.

თუმცა „ნაციონალები" გულმოდგინედ მალავენ და ასაიდუმლოებენ იმავე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს ჩვენში მიმდინარე მოვლენებზე. „ჰუმანს რაიტ ვოტჩი" და სხვა მაღალრეიტინგული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აკრიტიკებენ სააკაშვილის გუნდს ადამიანის უფლებების დარღვევის, პატიმართა გაუსაძლისი ყოფის, თავისუფალი სასამართლოს არარსებობის, მედიის წნეხქვეშ მოქცევის (განსაკუთრებით ელექტრონულისაძ და სხვათა გამო.

ვარდებით მოსულნი კი სირაქლემას პოზაში დგანან, ყოველმხრივ ბლოკავენ ჩვენი ქვეყნის შესახებ გავრცელებულ საზღვარგარეთულ ინფორმაციებს, შეფასებებს. ოღონდ ისაა, რომ მათი მცდელობის მიუხედავად მათთვის არასასურველი ინფორმაციები, მართალია დაგვიანებით, მაგრამ ბეჭდვითი მედიის საშუალებით მაინც აღწევს მოსახლეობამდე.

# აკი „მუქურა" ვართო?!

## საშიში ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო მეთხუთმეტე ადგილზეა!

### საშიში ხელისუფლება, საშიში გარემო

**ავტორიტეტულმა გაზეთმა „ფორბსმა "გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, სადაც ადგილობრივი და ჩასული უცხოელი მოქალაქეებისთვის ყველაზე მეტად საშიშია ცხოვრება.**

როგორც რედაქცია იუწყება, საშიშთა რეიტინგი გამოყვანილია ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობის, სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის, დამოუკიდებელი სასამართლოს, ადამიანთა უფლებების დაცვის, ხელისუფლების მაღალჩინოსანთა თავნებობისა და დაუსჯელობის სინდრომის არსებობის დონის გათვალისწინებით, ნაგულისხმევია გეოპოლიტიკური სტაბილურობის მაჩვენებლებიც.

სარეცენზიო წერილში „ფორბსი" მიუთითებს, რომ მისმა ჟურნალისტებმა რეიტინგ-ლისტის შევსების დროს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა გავლენიანი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებითა და რეკომენდაციებით ისარგებლეს.

### საპატიო მეთხუთმეტე

**საშიშ სახელმწიფოთა რეიტინგი ასე გამოიყურება:**

1. **სომალი** – „პირველობა" მან მეკობრეების წყალობით მოიპოვა.

2. **ავღანეთი** – „თალიბანის" სისტემატური თავდასხმები მშვიდობიან მოქალაქეებსა და გაეროს სამხედრო შენაერთებზე.

3. **კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა** – ქვეყანაში 1998 წლიდან სამოქალაქო ომია. რასაც მილიონობით ადამიანი შეეწირა. ბრძოლები დღესაც გრძელდება.

4. **ერაყი** – ყოველდღიური ტერაქტები, ალ ყაიდა სისტემატურად ესხმის თავს მშვიდობიან მოსახლეობას, უცხოელებს. ცეცხლს უხსნის და კლავს ადგილობრივი სახელისუფლებო და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, კოალიციის შეიარაღებულ ძალებს.

5. **პაკისტანი** – სამოქალაქო ომი.

6. **ღაზას სექტორი** – მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შემდგარი არაერთი მოლაპარაკებისა, ღაზაზე ავიადარტყმები მაინც გრძელდება.

7. **შრი-ლანკა** – 1983 წელს დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირება დღემდე გრძელდება. აჯანყებულები იყენებენ თვითმკვლელ ტერორისტებს, რომლებიც განურჩევლად ანადგურებენ ყველას და ყველაფერს.

8. **იემენი** – ერთმანეთს რამდენიმე სამხედრო დაჯგუფება უპირისპირდება. სპეციალისტთა გათვლებით, ქვეყანაში მალე გამოილევა ნავთობის მარაგი, რაც კონფლიქტს უფრო სისხლისმღვრელს გახდის.

9. **სუდანი** – ხელისუფლების განუკითხაობის გამო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ სუდანის პრეზიდენტის ომარ ელ ბაშირის დასაპატიმრებლად ორდერი გასცა. ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით მომხდარმა უკვე გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობაში ანტიევროპული და ანტიამერიკული განწყობილება.

10. **ზიმბაბვე** – ქვეყნის უცვლელი პრეზიდენტის რობერტო მუგაბეს ხელისუფლება არნახულ კორუფციაშია გახვეული. ამას ემატება ინფლაციაც.

11. **კოტ დ ივუარი** – მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა, ქვეყანაში არასტაბილური ვითარებაა.

12. **ჰაიტი** – დასავლური ქვეყანა, რომელშიც ინფლაცია და კორუფცია მძვინვარებს. მუდმივად არსებობს საბაზრო მომსახურებისა და რესურსების დეფიციტი.

13. **ალჟირი** – ალ-ყაიდასთან დაკავშირებული სამხედრო შენაერთები მუდმივად ემუქრებიან ქვეყნის უსაფრთხოებას. ხელისუფლება და მოსახლეობა პანიკაშია. ტერორისტები სისტემატურად ახორციელებენ დარტყმებს სასიცოცხლო ობიექტებზე, სასტუმროებზე.

14. **ნიგერია** – აფრიკის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა, სადაც შეიარაღებული ბანდები დათარეშობენ. ისინი განუკითხავად იტაცებენ ადგილობრივებსა (შეძლებულებსძ და უცხოელებს შემდგომ მათი განთავისუფლებისათვის ფულის გამოძალვის მიზნით.

15. **საქართველო** – სადაც გამეფებულია სახელმწიფო რეკეტი ადგილობრივ და ჩამოსულ მეწარმეებზე, ბიზნესმენებზე, ბანკირებზე. ქვეყანაში ფაქტობრივად უმართავი კრიმინოგენური ვითარებაა, ადგილობრივი და უცხოელი თითქმის დაუცველია როგორც კრიმინალებისაგან, ასევე სამართალდამცავებისგან. მაღალჩინოსნები შეპყრობილნი არიან დაუსჯელობის სინდრომით. არ არსებობს ობიექტური გამოძიება, დამოუკიდებელი სასამართლო და თავისუფალი პრესა. სისტემატურად ირღვევა რიგითი მოქალაქეებისა და პატიმართა უფლებები.

სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავს ის, რომ საქართველოს ურთულესი დამოკიდებულება აქვს ჩრდილოელ მეზობელ რუსეთთან, თავად ამ ქვეყანასაც სერიოზული პრობლემები ექმნება თავის სამხრეთ, საქართველოსთან მომიჯნავე რეგიონებში.

### და მაინც...

**სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსი შეფასებების მიუხედავად ჩვენი ხელისუფლება ჯიუტად განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ მის მიერ მიღწეული წარმატებებით ქვეყანა მოწინავეა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ერთ-ერთი პირველია ყოფილ სოციალისტურ ბანაკში და მიღწეული შედეგებითა და სტანდარტებით ზოგიერთ დასავლურ, ევროპულ ქვეყანასაც უტოლდება.**

თუ „ფორბსის" შედეგებს გავითვალისწინებთ, საქართველოს გარდა „ყველაზე საშიშ ქვეყანათა" ჩამონათვალში არც ერთი ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკა არ არის. ყველაზე „მოწინავე" – რუსეთი 25-ე ადგილზეა და „საშიშ ქვეყანათა" კლასიფიკაციას განეკუთვნება.

ყოფილი საბჭოეთის ქვეყნები კიდევ უფრო შორს არიან საქართველოსთან. ზოგიერთი სულაც „ნაკლებად საშიშთა" ჩამონათვალში მოხვდნენ.

რაც შეეხება სოციალისტური ბანაკის ყოფილ სახელმწიფოებს, ისინი თავიანთი რეიტინგით „ნაკლებად საშიშთა" შორის მოხვდნენ. ცხადია, ჩვენნაირი რეიტინგის მქონე ქვეყანასთან განვითარებული ევროპული ქვეყნები და მსოფლიო ცივილიზაცია ნაკლებად თუ ისურვებენ უახლოეს პერიოდში რაიმე საერთაშორისო თანამეგობრობაში გაწევრიანებას.

**ზაზა ბილიხოძე**

## ⊙ ინფორმაცია

### ტრაგედია გლდანში

**ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად გლდანში ორი ადამიანი დაიღუპა.**

**როგორც თბილისის სასწრაფო დახმარების „033" პრესცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ჩეჩელაშვილმა განაცხადა, უბედური შემთხვევა გლდანის მე-7 მიკრო რაიონში მოხდა.**

**ცხედრები სახლში მეზობლებმა აღმოაჩინეს. ადგილზე გავიდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის წევრები.**

ინტერპრესნიუსი

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების მორიგ საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 10 აპრილს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების საალრიცხვო დღედ განისაზღვრა 2009 წლის 18 მარტი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007-2008 წლის შედეგების დამტკიცება.
2. დივიდენდების განაწილება.
3. აუდიტის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი", მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზი. №74ა.



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის №122 მიმართულება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 50 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგი, 2004-2007 წლებში სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო დონის მოწინავე ინჟინერი, საქ. საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი**

**გიორგი (გიაძ ლაღუნდარიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**ს/ს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ექიმ ლაბორანტ ციცო ზამბახიძეს გარდაეცვალა**

**ვაჟიშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

## ⊙ კაი ყმა

**„შვილები არ არიან,**
**არ არიან შვილები..."**

**ბესიკ ხარანაული**

# მისი ტკივილი სამშობლო იყო...



**საქართველოს ძირძველი მიწა მამულიშვილთა სიცოცხლის ფასად ინარჩუნებდა არსებობას და ახერხებდა მომძლავრებული მტრის მოგერიებას. საუკუნეების განმავლობაში იცავდა ქართველი კაცი თავის ღვთაებრივ საუნჯეს, ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოს. ქართველი დედები ბავშვობიდანვე აზიარებდნენ თავიანთ შვილებს ქვეყნის, ხალხისა და მიწის სიყვარულს. ამ სულისკვეთებით იზრდებოდა გულანთებული ქართველი ახალგაზრდა ზურაბ ჯეჯელავა.**

**თვალწინ მიდგას საქართველოს უმშვენიერესი კუთხე, აფხაზეთი, ქალაქი გაგრა, თავისი სილამაზითა და კამკამა ლურჯი ზღვით. ბარათაშვილის ქუჩაზე ორსართულიანი სახლი, მანდარინის ხეების სიმწვანეში ჩაფლული. ბავშვების ჟრიამული ისმოდა; ბიძაშვილები ერთად შეიყრებოდნენ, დიდი ბაბია გადმოდგებოდა აივანზე და სიყვარულით შესცქეროდა თავის მონაგარს. ხარობდა მოხუცის გული და ტკბებოდა მრავლისმნახავი თვალი.**

**ზურიკოს უყვარდა თავისი ქალაქი; გული უცემდა, როცა ზღვის მოლივლივე სივრცეს გადახედავდა ხოლმე. განსაკუთრებით ჩამავალი მეწამული ზღვის ცქერა იზიდავდა. ზაფხულის თბილ საღამოებს მჩქეფარე ტალღების სიახლოვეს ატარებდა. ეამაყებოდა, რომ წინაპრების მიწაზე დადიოდა და ამ კუთხის შვილად ითვლებოდა. სამშობლო მრავლისმეტყველი სიტყვა იყო მისთვის.**

**მამის მოულოდნელი სიკვდილი ელდასავით დაატყდა თავს ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, დედას ამოუდგა მხარში და ოჯახის ტვირთის ზიდვაში ეხმარებოდა.**

**ცისანა ჯეჯელავა, კეთილშობილი, სათნო ქალბატონი, ოჯახის ერთგული და სპეტაკი ადამიანი, ერთადერთ ვაჟსა და ორ ქალიშვილს ობლობას არ აგრძნობინებდა, ცდილობდა აღეზარდა ისინი პატიოსან, სულგრძელ ადამიანებად, ისე როგორც მათ ოჯახს ეკადრებოდა...**

**აფხაზეთის ლურჯი ცა შავმა ღრუბლებმა დაფარეს, დაიწყო სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი... ისე, როგორც ათასობით სხვა, ზურაბიც ლტოლვილად იქცა სამშობლოში. დიდხანს არ შორდებოდა ეს ტკივილი, ღრმა ჭრილობასავით უსერავდა გულს და დარდი არ ასვენებდა... სამხედრო სამსახურში შევიდა. არც უფიქრია, რა საფრთხე და განსაცდელი ემუქრებოდა. მიზანი, რომელიც დაისახა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სიცოცხლე...**

**ახლობლები, ნათესავები, მეგობრები ზურიკოს იცნობდნენ, როგორც გულთბილ და ერთგულ, თავმდაბალ ვაჟკაცს.**

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 2008 წლის 15 ნოემბერს დაიღუპა ზურაბ ჯეჯელავა. ოჯახს გამოეცალა ერთადერთი იმედი. წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანთან ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას და თანამებრძოლთა სიცოცხლის გადარჩენას შეეწირა ქართველი ახალგაზრდა.**

**ღირსების ორდენით დააჯილდოვეს სიკვდილის შემდეგ თავგანწირვისა და მამაცობისთვის.**

**თბილისში მიუჩინეს სამუდამო ბინა გაგრელ ჭაბუკს, ქვეყნისათვის თავდადებულ მებრძოლს, რომლის ერთადერთი ტკივილი სამშობლო იყო.**

**მსუბუქი იყოს ზურიკოსთვის ქართული მიწა...**

**„შვილები არ არიან,**
**არ არიან შვილები..."**

**შვილები იღუპებიან! როდის მოიშუშებს ქვეყანა იარებს, ალდგება ერთიანი და ძლიერი? მოლოდინი უსაზღვროა!**

**რუსუდან გვიჩია**

◉ აქცია

# იგეგმება პროვოკაციები და რეპრესიები!

## ამტკიცებდნენ გუშინდელი აქციის მონაწილენი



**გუშინ პოლიტიკური გაერთიანების „ჩვენი საქართველოს“ ლიდერმა შალვა ხაჭაპურიძემ და ადვოკატთა პროფკავშირების წარმომადგენლებმა აშშ-ის საელჩოსთან გამართეს აქცია თემაზე: „ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაციები და რეპრესიები“.**

**აქციის ორგანიზატორებმა შეკრებილ მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს გააცნეს მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და საქართველოში აშშ-ს ელჩ ჯონ ტეფტისადმი, რომელშიც განხილულია ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ვითარება. მასში, კერძოდ, ნათქვამია:**

„...ოპოზიციასა და საზოგადოებას ქვეყნის კეთილი მომავლისათვის ბრძოლა განზრახული აქვს მშვიდობიანი მანიფესტაციებით, ხოლო ხელისუფლება მათ დარბევას აპირებს ისევე, როგორც ეს თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა...

...ხელისუფლებას განზრახული აქვს მშვიდობიან საპროტესტო აქციებში მონაწილე უდანაშაულო ადამიანების უკანონო დაპატიმრება, რისთვისაც თბილისის №8 და ქუთაისის №22 საპყრობილეებში გამოთავისუფლებული აქვს ორი კორპუსი...

ვინაიდან საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული და არაპროგნოზირებადია, ხელისუფლების ზემოაღნიშნული უკანონო ქმედებებს გარდაუვლად მოჰყვება გაუთვალისწინებელი მოვლენები. ამიტომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხელისუფლების მზადყოფნას, კონსტრუქციული და მშვიდობიანი გზებით მოხდეს ძირეული პოლიტიკური ძვრები ქვეყანაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში აღარ შეიძლება იყოს საუბარი არანაირ პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად გამოიწვევს სამოქალაქო დაპირისპირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, წინ აღუდგეთ საქართველოს ხელისუფლების განზრახვას, რეპრესიებით ჩაახშოს ქართველი ერის დემოკრატიისაკენ სწრაფვა“.

**მურად ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◉ ინფორმაცია

## იაფი დაზღვევის პროგრამა

**იაფი დაზღვევის პროგრამაში უკვე 6 ათასი ადამიანი ჩაერთო, განუცხადა ჟურნალისტებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა.**

მთავარია, მოსახლეობამ გაიგოს, რომ ეს არის ინდივიდუალური დაზღვევის შანსი, რისი შესაძლებლობაც აქამდე არ ჰქონდათ, – განაცხადა კვიტაშვილმა და დასძინა, რომ ამ მესიჯის საზოგადოებაში ფართოდ გასვლის შემდეგ აქტიურობაც გაიზრდება.

იაფი დაზღვევის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა მოსახლეობას 30 ივნისამდე ექნება.

## ვინ უშველოს ზუგდიდში ჩასახლებულ დევნილებს?!

**ზუგდიდში, ფაიფურის დასახლებაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.**

მათი ინფორმაციით, დავალიანების გამო ორი თვეა, ელექტროენერგია არ მიეწოდებათ, გათიშულია წყალიც. შეშა კი, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაარიგა, უკვე დაუმთავრდათ.

დევნილები აცხადებენ, რომ თუ საყოფაცხოვრებო პრობლემები არ მოგვარდება, საპროტესტო აქციებს გამართავენ.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

# ლიტერატურული ასოციაციები

## რიტორიკული კითხვის მარტივი პასუხი

**„ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული?“ – იკითხა აკაკი წერეთელმა.**

ეს შეკითხვა რიტორიკული XIX საუკუნეში იყო, თორემ დღეს მას მარტივი პასუხი აქვს:

**– ჩვენმა ხელისუფლებამ...**

## ტაძართმოძულე „მეგზევე“



ეს გზა ტაძართან მიმიყვანს? –იკითხა მგზავრმა ერთ კინოფილმში. არაო, – უთხრეს, – ეს ვარლამ არავიძის ქუჩაა და ის ტაძრისკენ არ მიდისო...

– რა საჭიროა გზა, თუ ტაძართან არ მიგიყვანსო, – გაიკვირვა მგზავრმა...

**ჩვენ რომ ყოველდღე შეგვახსენებენ და გვაყვედრიან, გზას გიკეთებთო, ის გზა საით მიდის? ყოველ შემთხვევაში, ტაძრისკენ – ნამდვილად არა: ტაძარს არ წყალობს გზის მშენებელი..**

## ამხილე, რამდენიც გინდა...



დიდი ხნის წინათ თამაზ წივწივაძემ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი საესტრადო სიმღერების ტექსტებზე. წივწივაძისებური წერილი იყო. მეორე თუ მესამე დღეს ასეთ ფაქტს შევესწარი: მწერალთა კავშირში ნიკა აგიაშვილი შეხვდა თამაზ წივწივაძეს, შეაქო: თამაზ, ძალიან კარგი წერილი დაბეჭდე, მაგრამ რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენო...

**ამხილე, რამდენიც გინდა, აკრიტიკე... „ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენ“...**

## შეცდომაშიც არაკაცური?!

ექვთიმე თაყაიშვილს უთქვამს პლატონ იოსელიანზე – „თუ ცდებოდა, პატიოსნად ცდებოდაო...“

**ჩვენი უბედურება ისიცაა, შეცდომებით სავსე ცხოვრებაში პატიოსანი შეცდომა რომ მოგენატრება კაცს... შეცდომებიც არაკაცურია...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

**იცით, რომ თუ დასვამთ კითხვას – რომელმა დეგენერატმა მოიფიქრა სუბტროპიკულ ზონაში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებაო – შეიძლება ციხეც აიკიდოთ რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის პიროვნული შეურაცხყოფისთვის?**



* * *

**– როგორ იმოქმედა კრიზისმა ებრაელებზე?**

**– უფრო ხშირად დაიწყეს სტუმრად სიარული.**

* * *

**ქალს ჯერ უნდა, რომ მამაკაცმა მის გამო თავი დაკარგოს და ყველა და ყველაფერი დაივიწყოს, მერე კი უკვირს, რომ სექსიდან ერთი დღის შემდეგ იმ კაცს იგი არ ახსოვს.**

* * *

**– ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თავისი მოქალაქეების პასპორტებში უკვე არ ჩააკრას სურათები...**

**– რატომ?**

**– რა საჭიროა?**

* * *

**უსასრულობა – ეს არის დრო სამუშაო დღის დასაწყისიდან მის დასასრულამდე. წამიერი გაელვება კი არის შვებულების 24 დღე.**

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.